ჯეოლოგი

დიოგენე

თბილისის წიგნის 25-ე

საერთაშორისო ფესტივალი

25-28 მაისი

სარჩევი

სერია „NONFICTION”	2
სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“	7
სერია „ET CETERA”	28
სერია „დარვინი“	37
სერია „ამერიკელები“	39
საბავშვო და საყმაწვილო	43
სხვა წიგნები	49
სასწავლო ლიტერატურა	57

ფესტივალის პარალელურად, წიგნების იმავე ფასდაკლებით
გამოწერა **www.diogene.ge**-დანაც შეგიძლიათ.

მიწოდება მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.
შეკვეთები დარიგდება ფესტივალის მომდევნო კვირის განმავლობაში.

დიოგენე NONFICTION

სერია „NONFICTION“-ში, სახელწოდებიდან გამომდინარე, არამხატვრული ლიტერატურა გამოდის. ის, რაც სერიაში შემავალ ძალზე განსხვავებულ ავტორებს აერთიანებს, მაძიებელი სული, ნააზრევის მასშტაბურობა და კარგად წერის უნარია.

ჰანა არენდტი

აიხმანი იერუსალიმში

მთარგმნელი: თამარ ლომიძე

„ის თავის მოვალეობას ასრულებდა... ემორჩილებოდა ახა მარტო ბრძანებებს, ახამედ კანონსაც“.

1960 წლის 11 მაისის საღამოს ნაცისტური რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსანი და ჰოლოკოსტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ადოლფ აიხმანი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არგენტინაში იმალებოდა, ისრაელის დაზვერვის სამსახურმა ბუენოს-აირესის გარეუბნიდან გაიტაცა. აიხმანი ისრაელში ჩაიყვანეს, სადაც იგი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის გასამართლდა. ბრალდებულს მიესაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით. გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსი, ჰანა არენდტი (1906-1975), პროცესს ესწრებოდა, როგორც ჟურნალ „ნიუ-იორკერის“ კორესპონდენტი. მისი წიგნი „აიხმანი იერუსალიმში – ანგარიში ბოროტების ბანალურობაზე“, XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად ითვლება.

სიახლე



~~22.95 ₾~~
18 ₾

NONFICTION

504 გვერდი
რბილი ყდა

კარლ გუსტავ იუნგი

მეტამორფოზის სიმბოლოები

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

შვეიცარიელი ფსიქოლოგის კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) „მეტამორფოზის სიმბოლოები“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნია ფსიქოანალიზურ ლიტერატურაში. ამ ნაშრომში ჩამოყალიბებული მოსაზრებებით იუნგი შორდება ლიბიდოს ფროიდისეულ გაგებას და ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს: ლიბიდო სექსუალური ენერგია კი არა, ზოგადი ფსიქიკური ენერგიაა, რომლის სექსუალური ასპექტები მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.
„მეტამორფოზის სიმბოლოებში“ იუნგი ავითარებს მოძღვრებას კოლექტიური არაცნობიერის, როგორც ზოგადსაკაცობრიო სიმბოლიკის, მათ შორის – მითებისა და სიზმრების – წყაროს შესახებ. აქვე დაწვრილებითაა განხილული ლიბიდოს გამოვლინებები რელიგიურ ტექსტებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

რეპრინტი

~~29.95 ₾~~
24 ₾

NONFICTION

170 გვერდი
რბილი ყდა

კარლ გუსტავ იუნგი

ფსიქოლოგია და ალქიმია

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

„ფსიქოლოგიაზე ისეთი ტონით ლაპარაკობენ, თითქოს ის მხოლოდ ფსიქოლოგია იყოს და სხვა არაფერი. მოსაზრება, რომ არსებობს ღვთაებრივი სახე-ხატების შესატყვისი ფსიქიკური ფაქტორები, ამ სახე-ხატების პროფანაციის მცდელობად არის მიჩნეული. იმის დაშვება, რომ ჩვეიგიური განცდა ფსიქიკური პროცესია, ასევე მკრეხელობად არის შეფასებული...“.

„ფსიქოლოგია და ალქიმია“, ანალიზური ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) ერთ-ერთი უმთავრესი ნაშრომი, 1944 წელს გამოიცა. წიგნში იუნგი იკვლევს ინდივიდუალური სიზმრების სიმბოლიკას და მის მიმართებას ალქიმიასთან, ისევე, როგორც რელიგიური იდეებისა და ალქიმიის ურთიერთკავშირს.

რეპრინტი

~~29.95₾~~
24₾

600 გვერდი
რბილი ყდა

კარლ გუსტავ იუნგი

ფსიქოლოგია და რელიგია პასუხი იობს

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

წიგნში წარმოდგენილია ანალიზური ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინტელექტუალის, კარლ გუსტავ იუნგის (1875 – 1961) ორი ფუნდამენტური ნაშრომი, რომლებშიც იგი რელიგიაზე მსჯელობს. „ფსიქოლოგია და რელიგია“ იუნგის მიერ 1937 წელს წაკითხულ სამ ლექციას აერთიანებს. „პასუხი იობს“ მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, 1952 წელს დაწერილი წიგნია. მკვლევართა ნაწილი ამ მცირე ზომის ტექსტს იუნგის ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად თვლის.

ბესტსელერი



~~20.95₾~~
12.50₾

324 გვერდი
რბილი ყდა

სიუზენ ზონტაგი

ფოტოგრაფია

მთარგმნელები: გია ჟუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

ამერიკელი ფილოსოფოსისა და მწერლის, სიუზენ ზონტაგის (1933 – 2004) ესეების კრებული „ფოტოგრაფია“, გამოცემიდან თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგაც, ამ თემაზე დაწერილ წიგნებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია (ისევე, როგორც ავტორის ბიბლიოგრაფიაში). კრებულში შესული ექვსი ესე 1973-დან 1977 წლამდე New York Review of Books-ში ქვეყნდებოდა, 1977-ში კი წიგნად გამოიცა. ეს არ არის მხოლოდ ფოტოგრაფიაზე შექმნილი თეორიული ნაშრომი, ზონტაგის თვალსაწიერი, როგორც ყოველთვის, გაცილებით ფართოა, მისი ნააზრევის სიღრმე და ორიგინალობა კი მკითხველის ხედვას სამუდამოდ ცვლის.

~~19.95 ₾~~
10 ₾

214 გვერდი
რბილი ყდა

ზიგმუნდ ფროიდი

რჩეული შრომები

მთარგმნელი: მაია ბადრიძე.

ზიგმუნდ ფროიდი (1856 – 1939) XX საუკუნის დიდი ავსტრიელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიზის ფუძემდებელია. კრებული ფროიდის ხუთ მნიშვნელოვან ნაშრომს აერთიანებს. „ერთი ილუზიის მომავალში“ განხილულია რელიგიის წარმოშობის მიზეზები. „კულტურით უკმაყოფილებაში“ ფროიდს შინაგანი ფსიქიკური კონფლიქტები ცივილიზაციის სფეროში გადააქვს და ავითარებს აზრს, რომ კულტურაშიც იგივე პროცესები მიმდინარეობს, რაც ინდივიდის ფსიქიკაში. „ტოტემი და ტაბუ“ ფროიდის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ნაშრომია, რომელიც პირველყოფილი ადამიანის ფსიქოსოციალურ თავისებურებებს ეხება. „დოსტოევსკი და მამის მკვლელობა“ და „ლეონარდო და ვინჩის ბავშვობის მოგონებები“ ამ ორი დიდი შემოქმედის ფსიქოლოგიური ბიოგრაფიების შექმნის მცდელობაა, რომელიც მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას სრულიად განსხვავებულად დაგვანახვებს.

~~22.95 ₾~~
13.50₾

442 გვერდი
რბილი ყდა

ალენ ვანიე

ფსიქოანალიზის შესავალი

მთარგმნელი: გიგა მამინაშვილი

~~16.95₾~~
10₾

202 გვერდი
რბილი ყდა

ფსიქოანალიზის, როგორც ფილოსოფიის, მედიცინისა და რელიგიის გზაჯვარედინზე აღმოცენებული დისციპლინის, როლი განმსაზღვრელია XX საუკუნის აზროვნებისათვის. თანამედროვე ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი და ფსიქიატრი, პროფესორი ალენ ვანიე „ფსიქოანალიზის შესავალში“ ამ მოძღვრების ფუნდამენტურ კონცეპტებსა და ფსიქოანალიზის ისტორიის გარდამტეხ მომენტებს განიხილავს.
წიგნი განკუთვნილია როგორც ფსიქოლოგების, ფსიქოანალიტიკოსებისა და მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენლების, ისე მკითხველთა ფართო წრისთვის, რადგან კვლევის ფსიქოანალიზური მეთოდი და მისი კონცეპტუალური სისტემა არა მხოლოდ პიროვნების ფსიქიკური ცხოვრების, არამედ სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფენომენების გაგების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

სიმონ ვეი

ღვთის მოლოდინი

მთარგმნელი: თამარ ლომიძე

~~17.95₾~~
11₾

204 გვერდი
რბილი ყდა

1943 წელს ინგლისში, ეშფორდის სანატორიუმში უხეირო კვებისა და გართულებული ტუბერკულოზისაგან 34 წლის ასაკში გარდაცვლილი სიმონ ვეი მეგობრების წრის მიღმა სრულიად უცნობი იყო, მისი ნაწერებიდან კი დღის შუქი მხოლოდ რამდენიმეს ეხილა. სიმონ ვეი – პარიზელი ინტელექტუალი, რომელმაც ქარხნის მუშობა გადაწყვიტა, პაციფისტი, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომში საბრძოლველად წავიდა, ქრისტიანი, რომელმაც ნათლობაზე თქვა უარი – დღეს მეოცე საუკუნის უდიდეს რელიგიურ მოაზროვნედაა აღიარებული. ალბერ კამიუ, სიმონ ვეის წიგნების მთავარი გამომცემელი, მისი ნააზრევისაგან დიდად იყო დავალებული.

„ღვთის მოლოდინი“ რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის წერილებისა და ესეების კრებულია, რომლებიც სიმონ ვეიმ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაწერა. ეს ტექსტები წიგნად მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა წერილების ადრესატმა, დომინიკელმა მოძღვარმა ჟან-მარი პერენმა.

ვიქტორ ფრანკლი

ვუთხრათ სიცოცხლეს „დიახ"!

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

„...მოათხევენ თოხმეტი წლის ბიჭს, ხომლისთვისაც ბანაკში ფეხსაცმელი ახ მოიძებნა და ამიტომ იძულებული იყო, საათობით მდგახიყო ფეხშიშველი თოვლში მოედანზე, მეხე კი სიცივეში ემუშავა; ფეხის თითები მოჰყინვია და ამბულატორიის ექიმი გაშავებულ მოყინულ თითებს პინცეტით აძრობს. ტყვე ამ ყველაფეს უყურებს და ზიზღის, შიშის, თანაგრძნობისა და აღშფოთების განცდის უნახი დაჰკარგვია. ბანაკში ყოფნის ხამდენიმე კვირის მანძილზე იმდენი გატანჯული ადამიანი, ავადმყოფი, მომაკვდავი და მკვდარი ნახა, ხომ ჩვეულებრივ სანახაობად ქცეული ეს სცენა აღარ აღელვებს“.

~~15.95₾~~
9.50₾

160 გვერდი
რბილი ყდა

ამ წიგნის ავტორმა სამი წლის მანძილზე ოთხი საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეობა გამოსცადა. 37 წლის ვიქტორ ფრანკლს იქ მოხვედრისას უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდა ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში. სწორედ ამ გამოცდილების პრიზმაში ხედავს იგი ბანაკის ყოფას. „ვუთხრათ სიცოცხლეს „დიახ“!“ (1946), წიგნი, რომელიც ბანაკს თავდაღწეულმა ავტორმა ცხრა დღეში დაწერა, „სიცოცხლის მეორე ნაპირიდან“ მომზირალი ადამიანების ფსიქოლოგიას აღწერს.
ვიქტორ ფრანკლი (1905 – 1997), ავსტრიელი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, ლოგოთერაპიის ფუძემდებელია. ლოგოთერაპია ვენური ფსიქოთერაპიის „მესამე სკოლაა“ (პირველი და მეორე ფროიდსა და ადლერს გულისხმობს). ფრანკლი თვლიდა, რომ პიროვნების უმთავრესი მოტივაცია ცხოვრების საზრისის ძიებაა, ფსიქოთერაპიის ამოცანა კი ამ საზრისის პოვნაში დახმარებაა.

დიოგენეს ბიბლიოთეკა

სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკაში“ გაერთიანებული უცხოენოვანი ლიტერატურა პირველად გამოიცემა ქართულად. სერიაში ბევრ ისეთ წიგნს ნახავთ, რომლებსაც კრიტიკოსები აღმატებითი ეპითეტებით ახასიათებენ: ლეგენდარული, ეპოქალური, უმნიშვნელოვანესი... ჩვენ კი ასე ვიტყოდით – ძალიან კარგი წიგნები, რომლებსაც ნამდვილი მკითხველი დიდხანს ელოდა.

ბანანა იოშიმოტო
სამზარეულო
მთარგმნელი: დავით გოგინაშვილი

ბანანა იოშიმოტო 1964 წელს დაიბადა ტოკიოში. უნივერსიტეტში ლიტერატურას სწავლობდა. სწორედ ამ პერიოდში აირჩია ფსევდონიმი „ბანანა“ (მწერლის ნამდვილი სახელია მაჰოკო იოშიმოტო), ბანანის ყვავილების სიყვარულის გამო. იოშიმოტო რესტორანში მიმტანად მუშაობდა და თან „სამზარეულოს“ წერდა. ამ სადებიუტო რომანმა მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. თანამედროვე იაპონურ ლიტერატურაში „სამზარეულო“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნია.



144 გვერდი
რბილი ყდა

ჩარლზ ბუკოვსკი
ფოსტა
მთარგმნელი: ქეთი ქანთარია

ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი, ჩარლზ ბუკოვსკი (1920-1994) მრავალი რომანის, მოთხრობისა და ლექსის ავტორია, მაგრამ „ფოსტა“ – მწერლის პირველი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც სამ კვირაში დაიწერა და რომლის მიძღვნაშიც ავტორი აცხადებს: „ვასაღებ მხატვრულ ლიტერატურად და არავისაც არ ვუძღვნი“ – მაინც გამორჩეულია. წიგნის მთავარი გმირი ბუკოვსკის ალტერ ეგო, ჰენრი ჩინასკია, რომელიც ფოსტაში მუშაობს. რომანმა მწერალს დიდი წარმატება მოუტანა და ერთხელ და სამუდამოდ დაუმკვიდრა საპატიო ადგილი ე. წ. „ბინძური ლიტერატურის“ ჟანრში. მიუხედავად თხრობის ხაზგასმულად ნატურალისტური, ზოგჯერ შოკის მომგვრელი მანერისა, მწერლის იუმორი და საკუთარი თავის მიმართ უაღრესად საღი და ირონიული დამოკიდებულება ამ რომანს დაუვიწყარ საკითხავად აქცევს.

რეპრინტი

~~16.95₾~~
13.50₾

244 გვერდი
რბილი ყდა

უმბერტო ეკო
ფუკოს ქანქარა
მთარგმნელი: ხათუნა ცხადაძე

„ფუკოს ქანქარა” ცნობილი იტალიელი მწერლისა და მეცნიერის, უმბერტო ეკოს (1932-2016) მეორე რომანია, რომელიც ავტორის სადებიუტო „ვარდის სახელზე“ არანაკლებ პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ერთ-ერთი მილანური გამომცემლობის რედაქტორები ოკულტური მეცნიერებებით, საიდუმლო საზოგადოებებით, მსოფლიო შეთქმულებებით ერთობიან. ასე, თამაშ-თამაშით, მოიფიქრებენ „გეგმას“, მაგრამ მეტისმეტი მოსდით: ვიღაც მართლა დაიჯერებს მათ შეთხზულ ისტორიას და დაუნდობელ ბრძოლას იწყებს საიდუმლოს გასაღების ხელში ჩასაგდებად...

რეპრინტი

~~29.95₾~~
24₾

824 გვერდი
რბილი ყდა

უმბერტო ეკო

პრაღის სასაფლაო

მთარგმნელი: ხათუნა ცხადაძე

ოკულტისტები, სატანისტები, მასონები, იეზუიტები, რევოლუციონერები, საფრანგეთის, იტალიის, პრუსიისა და რუსეთის საიდუმლო სამსახურები, ანტისემიტიზმის აფეთქებისა და ფაშისტური ისტერიის ზღვარზე მყოფი ევროპა, კონსპირაციული თეორიები, მსოფლიო შეთქმულების შიში...
სრულიად დაუჯერებელი და ამავე დროს რეალურად არსებული პერსონაჟებით სავსე, წარმოუდგენელი ინტრიგებით ნაქარგი სიუჟეტი მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. რომანის ერთადერთი გამოგონილი პერსონაჟი სიმონინო სიმონინია. გამოგონილი, მაგრამ ყველაზე ნამდვილი და „მარად ჩვენ შორის მყოფი“.



560 გვერდი
რბილი ყდა

მილან კუნდერა

ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

მთარგმნელი: სულხან მუხიგულაშვილი

„ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ - მილან კუნდერას ყველაზე ცნობილი რომანი - 1982 წელს დაიწერა, თუმცა მისი გამოქვეყნება ავტორმა მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოახერხა. ჩეხურ ენაზე დაწერილი წიგნი პირველად ფრანგულად გამოიცა. რომანის გმირები 1960-70-იანი წლების პრაღაში ცხოვრობენ, თუმცა ის რთული ურთიერთობები და ფილოსოფიური საკითხები, რომლებსაც კუნდერა ეხება, ნებისმიერ ეპოქასა თუ ადგილს გულისხმობს.

316 გვერდი
რბილი ყდა

ერვე ლე ტელიე
ანომალია
მთარგმნელი: პაატა ჯავახიშვილი

~~24.95₾~~
12.50₾

338 გვერდი
რბილი ყდა

2021 წლის ივნისში ერთი აუხსნელი და სრულიად წარმოუდგენელი მოვლენა თავდაყირა აყენებს რამდენიმე ადამიანის ცხოვრებას. ისინი პარიზი - ნიუ-იორკის რეისის მგზავრები არიან. მათ შორისაა ბლეიკი, პატივცემული ოჯახის თავი, რომელიც სინამდვილეში დაქირავებული მკვლელია; სლიმბოი, ნიგერიელი პოპ-ვარსკვლავი, რომელსაც ტყუილში ცხოვრება მობეზრდა; ჯოანა, ადვოკატი, რომელიც თავისივე სისუსტეების მსხვერპლად იქცევა; ასევე ვიქტორ მიესელი, მოკრძალებული მწერალი, რომელიც უეცრად სახელოვანი ხდება. არიან სხვებიც. თითოეულ მათგანს ეგონა, რომ თავისი საიდუმლო ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ...
ერვე ლე ტელიე (1957) ფრანგი მწერალი, პოეტი, დრამატურგი და ჟურნალისტია. ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც ის მიეკუთვნება, ალფრედ ჟარის მიერ დაარსებული პატაფიზიკაა. ტელიე ვიანის, პერეკის, კენოსა და სხვა დიდი მწერლების საქმის გამგრძელებელია. „ანომალია“ მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომლისთვისაც 2020 წელს მწერალს გონკურის პრემია მიენიჭა.

უილიამ შექსპირი
რომეო და ჯულიეტა
მთარგმნელი: დავით ახალაძე



~~16.95₾~~
10₾

216 გვერდი
რბილი ყდა

მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე სახელგანთქმული შეყვარებულების, რომეოსა და ჯულიეტას, ხანმოკლე ვნებისა და ტრაგიკული აღსასრულის ამბავი ნებისმიერმა იცის, მაგრამ ბევრმა მხოლოდ მეორადი წყაროდან – ფილმიდან, სპექტაკლიდან, ადაპტირებული ვერსიიდან. პირველწყაროს ხელში ასაღებად მკითხველს ბევრი წინაღობის გადალახვა უწევს. ერთ-ერთი ფორმაა – „რომეო და ჯულიეტა“ პიესაა (და არა რომანი), თანაც ალაგ-ალაგ გალექსილი. სხვა წინაღობა ავტორია – შექსპირი კლასიკოსია (და არა თანამედროვე), ეს კი, უმეტესად, რთულ და მოსაწყენ საკითხავს მოასწავებს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სასკოლო აჩრდილებით გულშეღონებულ თინეიჯერებს (უპირველესად, სწორედ მათთვის განვიზრახეთ შექსპირის ახლიდან თარგმნა) საუკუნეების წინ დაწერილი სიყვარულის ამბის ხელში აღებას ისევ თინეიჯერული პატივმოყვარეობა (შექსპირთან გამკლავების სიამაყე!) თუ შეაძლებინებს. ეს საწყისი ძალისხმევა დაუფასებელი არ დარჩება – მათ მიერ ამ წიგნის დაუზარლად ჩამთავრებაზე უკვე ავტორი იზრუნებს.

ორიანა ფალაჩი

წერილი ვერდაბადებულ ბავშვს

მთარგმნელი: ნათია აბრამიშვილი

131 გვერდი
რბილი ყდა

ორიანა ფალაჩის მოკლე რომანი «წერილი ვერდაბადებულ ბავშვს» 1975 წელს გამოიცა. მასში წამოჭრილმა მწვავე საკითხებმა და ავტორის გამბედაობამ წიგნის მსოფლიო წარმატება განაპირობა. რომანი ახალგაზრდა ქალის ტრაგიკული მონოლოგია, რომელიც მუცლადმყოფ ბავშვს ესაუბრება. ცხოვრების საზრისი, სიცოცხლის უფლება, ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობა, მარტოხელა ქალისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, არჩევანი დედობასა და კარიერას შორის ის თემებია, რომლებსაც ფალაჩის გმირი ეხება.
ორიანა ფალაჩი (1929 – 2006), იტალიელი ჟურნალისტი და მწერალი, მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიური წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი იყო. ომისშემდგომმა ჟურნალისტურმა საქმიანობამ მას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ფალაჩის სტატიები და ინტერვიუები მსოფლიო ლიდერებთან – ინდირა განდისთან, ჰენრი კისინჯერთან, გოლდა მეირთან თუ სხვებთან – სიმძაფრითა და შეუპოვრობითაა ცნობილი. ფალაჩის ზოგიერთ მოსაზრებას, მათ შორის, ისლამისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებას, 2000-იანების დასაწყისში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

ფარლი მოუეტი

ნუ იყვირებ: მგელი, მგელი!

მთარგმნელები: ნანა კიკნაძე, ალექსანდრე ქორელი

179 გვერდი
რბილი ყდა

ეს წიგნი არქტიკული მგლების ოჯახთან გატარებულ ერთ ზაფხულზე მოგვითხრობს. ფარლი მოუეტს კანადის ტუნდრაში აგზავნიან მგელზე დაკვირვების საწარმოებლად. მგლების მიერ ჩრდილოეთის ირმის, კარიბუს პოპულაციის განადგურება ეროვნული მნიშვნელობის პრობლემაა და ახალგაზრდა ბიოლოგი მთელი შემართებით იწყებს მტაცებლების ყოფის შესწავლას. იგი მალევე ხვდება, რომ თავადაც დაკვირვების ობიექტია – ცნობისმოყვარე მგლები დიდ გამჭრიახობას იჩენენ და არც იუმორის ნაკლებობას უჩივიან. მათი ცხოვრების ნირის, ჩვევებისა და მგელ-კარიბუს ურთიერთობის შემყურე მეცნიერი გაოგნებულია – სახელმძღვანელოებში ამოკითხული არაფრით ემთხვევა მგლების ნამდვილ ყოფას.
კანადელი მწერლის, ბიოლოგისა და ბუნების დამცველის, ფარლი მოუეტის (1921-2014) ავტობიოგრაფიული წიგნი «ნუ იყვირებ: მგელი, მგელი!» (1963) ქართულად პირველად 1980 წელს გამოიცა. ახალი გამოცემისთვის თარგმანი ხელახლა გარედაქტირდა და ორიგინალს შედარდა.

ᲞᲠᲘᲛᲝ ᲚᲔᲕᲘ
ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ
ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲙᲘᲙᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იტალიური ლიტერატურის კლასიკოსის, პრიმო ლევის (1919 – 1987) „განა ეს ადამიანია“ აუშვიც-მონოვიცის ბანაკის შემაძრწუნებელ გამოცდილებას აღწერს. წიგნი 1947 წელს გამოიცა. ავტორს, ლიტერატურული გამოცდილების არმქონე 27 წლის ქიმიკოსს, არ დაუსახავს მიზნად, ვინმე განესაჯა: წერას, უპირველეს ყოვლისა, ტრავმaის დაძლევის საშუალებად მიიჩნევდა. ლევიმ სცადა, გაეანალიზებინა, რად შეიძლება იქცეს ადამიანი უსასტიკესი სოციალური და ბიოლოგიური ექსპერიმენტის პირობებtში, როდესაც ყველაფერს კარგავს – თავისუფლებას, მომავალს, მოგონებებს, სახელსაც კი და მკლავზე ამოშანთული ნომერი ყოველდღე შეახსენებს, რომ ის არავინაა.

~~17.95₾~~
11₾

238 გვერდი
რბილი ყდა

ᲞᲠᲘᲛᲝ ᲚᲔᲕᲘ
ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ
ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲜᲐᲗᲘᲐ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

1975 წელს გამოსული წიგნი „პერიოდული სისტემა“ 21 მოთხრობისგან შედგება და პროფესიით ქიმიკოსმა მწერალმა თითოეულ მოთხრობას ქიმიური ელემენტის სახელი უწოდა. ავტორი თავისი „ქიმიური“ თვალთახედვიდან სწავლობს ადამიანებსა და საგნებს, ამგვარადვე იღებს ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს და სამყაროსა და საკუთარი თავის ირონიულად აღქმას იწყებს. მოთხრობების უმეტესობა ავტობიოგრაფიულია და მოიცავს ლევის ოჯახის და წინაპრების ისტორიას, ახალგაზრდობის წლებს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდსა და ოსვენციმში ყოფნის დროს.



~~16.95₾~~
8.50₾

238 გვერდი
რბილი ყდა

Ვ. Გ. ᲖᲔᲑᲐᲚᲓᲘ
ᲐᲣᲡᲢᲔᲠᲚᲘᲪᲘ
ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲛᲐᲘᲐ ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ

„აუსტერლიცი“ ვინფრიდ გეორგ ზებალდის ბოლო რომანია, რომელიც 2001 წელს, მწერლის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოიცა. 1967 წელს, ანტვერპენის ცენტრალურ სარკინიგზო სადგურში, მთხრობელი ხვდება ჟაკ აუსტერლიცს, ხელოვნების ისტორიკოსს, რომლის ცხოვრების ამბავსაც ნელ-ნელა ვიგებთ. ოთხი წლის აუსტერლიცი ნაცისტებს გამოარიდეს და, სხვა ებრაელ ბავშვებთან ერთად, ჩეხოსლოვაკიიდან დიდ ბრიტანეთში ჩაიყვანეს, სადაც ის უელსელი მღვდლის ოჯახში აღიზარდა. წლების შემდეგ აუსტერლიცი მთელ ევროპაში ეძებს დაკარგულ წარსულს.



~~19.95₾~~
10₾

284 გვერდი
რბილი ყდა

Ვ. Გ. ᲖᲔᲑᲐᲚᲓᲘ
ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ
ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲛᲐᲘᲐ ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ

„შესაძლებელია თუ არა, ჩვენს დროშიც შეიქმნას დიდი ლიტერატურა“? - ეს კითხვა სიუზენ ზონტაგმა დასვა თავის ესეში და იქვე დასძინა, რომ პასუხად ვ. გ. ზებალდის შემოქმედება გამოდგებოდა. დღეს უკვე მსოფლიო მნიშვნელობის მწერლად აღიარებულ ვინფრიდ გეორგ ზებალდს აკადემიური წრის იქით კარგა ხანს არავინ იცნობდა.
ზებალდმა ცხოვრების დიდი ნაწილი ინგლისში გაატარა, სადაც გერმანულ ლიტერატურას ასწავლიდა უნივერსიტეტში. იგი ორმოცს გადაცილებული იყო, როცა მისი წიგნები გამოქვეყნდა და ავტორს თანამედროვეობის გამორჩეული პროზაიკოსის სახელი დაუმკვიდრა. სამწუხაროდ, ზებალდის სამწერლო მოღვაწეობა ხანმოკლე გამოდგა - 2001 წელს 57 წლის მწერალი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.
„ემიგრანტები“ ოთხი ნაწილისგან შედგება და ოთხი ადამიანის ამბავს მოგვითხრობს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით დატოვეს სამშობლო. ზებალდის სხვა წიგნების მსგავსად, „ემიგრანტებსაც“ შავ-თეთრი ფოტოები ახლავს, რომლებსაც ავტორი ტექსტის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.

~~15.95₾~~
8₾

228 გვერდი
რბილი ყდა

ფილიპ როთი

ძუძუ

მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე

ფილიპ როთის მოკლე რომანი „ძუძუ“ კაფკას „გარდასახვის“ ტრადიციას აგრძელებს. პროფესორი კეპეში, 38 წლის სრულიად ჯანმრთელი მამაკაცი, ერთ დღესაც აღმოაჩენს, რომ გარდაისახა. ოღონდ მწერად ქცეულ გრეგორ ზამზასაგან განსხვავებით, კეპეში ქალის ძუძუდ იქცევა. უზარმაზარი სარძევე ჯირკვლის გასაოცარ თავგადასავალს თავად რომანის მთავარი გმირი, ძუძუ მოგვითხრობს – გულწრფელად და მღელვარედ.

ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი ფილიპ როთი (1933 – 2018) ოცდაათამდე რომანის ავტორია. საერთაშორისო ბუკერისა და პულიცერის პრემიების მფლობელი მწერალი ერთადერთი იყო, ვისი წიგნებიც „ამერიკის ბიბლიოთეკის“ ცნობილ სერიაში მის სიცოცხლეშივე გამოიცა.



~~15.95₾~~
9.50₾

102 გვერდი
რბილი ყდა

ფილიპ როთი

ამერიკული პასტორალი

მთარგმნელი: თამარ ლომიძე

სეიმურ ლევოვი, მეტსახელად „შვედი“, 40-იანი წლების ნიუარკში ნამდვილი ვარსკვლავია. ბრწყინვალე სპორტსმენს უფროსები პატივს სცემენ, თანასკოლელ გოგონებს უყვართ, ბიჭები კი აღმერთებენ. „შვედი“ თავისი სკოლელის, შემდგომში ცნობილი მწერლის, ნათან ცუკერმანის მეხსიერებაში ღრმა კვალს ტოვებს. სწორედ ცუკერმანი მოგვითხრობს მისი ბავშვობის კერპის, სრულყოფილი სხეულისა და კეთილშობილი ბუნების მქონე ბიჭის შესახებ.
სკოლის დამთავრების შემდეგ „შვედი“ სათავეში უდგება საოჯახო ბიზნესს, ქორწინდება „მის ნიუ-ჯერსიზე“ და წარმატებული, ყოველმხრივ სანიმუშო ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს. თუმცა ერთ დღეს კომუნისტური იდეებით გატაცებული, მშობლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებული „შვედის“ თექვსმეტი წლის გოგონა ყველაფერს თავდაყირა აყენებს...
1998 წელს რომან „ამერიკული პასტორალისთვის” ფილიპ როთს (1933) პულიცერის პრემია მიენიჭა.

~~17.95₾~~
9₾

612 გვერდი
რბილი ყდა

ჯუნიჩირო ტანიძაკი

ნაზი თოვა

მთარგმნელი: თათია მემარნიშვილი

იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის, ჯუნიჩირო ტანიძაკის (1886-1965) რომანი „ნაზი თოვა“ 1946-1948 წლებში, სამ ნაწილად გამოიცა და ის მაშინვე აღიარეს მეიჯის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ერთ-ერთ უდიდეს ნაწარმოებად. ახალი ეპოქა და დასავლეთის გავლენა თანდათან დევნის იაპონურ ტრადიციებს, თუმცა მაკიოკების ძირძველი ოჯახი ძნელად ეგუება სიახლეებს და გულმოდგინედ ცდილობს წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. რომანი ოთხი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, დის ცხოვრებაზე, მათ განცდებზე, ფიქრებსა და შიშებზე მოგვითხრობს. „ნაზი თოვა“ ოჯახური საგაა, რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევრის იაპონიის გზამკვლევადაც შეიძლება მივიჩნიოთ. რომანში შთამბეჭდავ ლირიზმს მკრთალ ფონად გასდევს ქვეყანაში მილიტარიზმისა და აგრესიის აღზევება.

~~34.95₾~~
21₾

748 გვერდი
რბილი ყდა

პიტერ კერი

კელის საძმოს უტყუარი ამბავი

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

„კელის საძმოს უტყუარი ამბავი“ ბუკერის პრემიის ორგზის მფლობელი ავსტრალიელი მწერლის, პიტერ კერის (1943) ცნობილი რომანია. სწორედ ამ წიგნისთვის მიენიჭა ავტორს მეორე, 2001 წლის ბუკერი.
ნაწარმოების მთავარი გმირია ნედ კელი – ისტორიული პიროვნება, ავსტრალიელი რობინ ჰუდი, რომლის სახელი კონტინენტზე ყველამ იცის. კელიმ 26 წელი იცოცხლა. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე სახელიც დაიგდო და შიშის ზარსაც სცემდა კოლონიალურ პოლიციას.
რომანის მოქმედება XIX საუკუნის 70-იან წლებში, ავსტრალიის ვიქტორიის კოლონიაში ხდება. ავტორი მთავარი გმირის – ნედ კელის – პირით მოგვითხრობს მის ცხოვრებას, ოთხი ადამიანისგან შემდგარი საძმოს შექმნისა და ხელისუფლებასთან დაპირისპირების ამბავს.

~~24.95₾~~
12.50₾

520 გვერდი
რბილი ყდა

აირის მერდოკი
ზღვა, ზღვა
მთარგმნელი: თამარ ლომიძე

აირის მერდოკის (1919-1999) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი „ზღვა, ზღვა“ ადამიანად ყოფნის საზრისის ძიებაა. ნაწარმოების მთავარი გმირი დღიურის მსგავსი ჩანაწერებით ცდილობს, საკუთარი ცხოვრების ყველა ასპექტი გაიაზროს, შეცდომები თუ წარმატებები გააანალიზოს და შეგვახსენოს, რომ ცნობილი, წარმატებული, ერთი შეხედვით უდარდელი ადამიანის ცხოვრებაშიც დგება წუთი, როცა მას ყველაფრისგან გაქცევისა და საკუთარი სულიერი თუ გარემომცველი სამყაროს სრულად შეცნობის სურვილი უჩნდება. მრავალფეროვანი ალუზიებით, მეტაფორებით, სიმბოლური სახეებით ავტორი ცდილობს, მგრძნობიარე კამერულობა დამაჯერებელ გულწრფელობად აქციოს და მკითხველს არცთუ იოლი საფიქრალი დაუტოვოს. რომანში ჩვენ თვალწინ ვნებათა ზღვა ბობოქრობს და ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგიური სურათი იხატება.

630 გვერდი
რბილი ყდა

აირის მერდოკი
შავი პრინცი
მთარგმნელი: თამარ ლომიძე

ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი აირის მერდოკი (1919-1999) სამართლიანად ითვლება მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო რომანისტად. მას მრავალი პრესტიჟული ჯილდო და ტიტული აქვს მოპოვებული. „შავი პრინცი“ აირის მერდოკის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებია. ალუზიებითა და სიმბოლოებით დატვირთულ ტექსტში ბევრი რამ წარმოაჩენს მწერლის ოსტატობას: სიუჟეტური პერიპეტიები, საინტერესო სტრუქტურა, დახვეწილი ენა... თუმცა წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ მთავარი გმირების - ასაკოვანი კაცისა და ახალგაზრდა ქალის - უცნაური ურთიერთობის ამბავს ავტორი მთლიანად ცლის ბანალურობისგან და მკითხველისთვის „შავი პრინცი“ სიყვარულის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო რომანი ხდება.



532 გვერდი
რბილი ყდა

მეივის გალანტი

მეთხუთმეტე უბნიდან

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

მეივის გალანტი (1922 - 2014) კანადელი მწერალი და ჟურნალისტია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა საფრანგეთში. წერდა ინგლისურ ენაზე. მისი შემოქმედება მოიცავს რომანებს, პიესას, ესეებს, მაგრამ უფრო ცნობილია, როგორც მოთხრობების ავტორი. მიღებული აქვს ლიტერატურული ჯილდოები, მათ შორის ო. ჰენრის პრემია. „მეთხუთმეტე უბნიდან“ ცხრა მოთხრობისგან შემდგარი კრებულია. მოთხრობებში აღწერილი ამბები გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში ხდება, თუმცა მათ უმრავლესობას მაინც ერთი საერთო თემა აქვს - მეორე მსოფლიო ომი. პერსონაჟებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენას მიეკუთვნებიან და სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მაგრამ მათ შორისაც იკვეთება საერთო ხაზი: ისინი ან სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანები არიან, რომლებსაც თავიანთი ადგილი ვერ უპოვიათ ცხოვრებაში, ან ქალები და კაცები, რომელთა ცოლქმრული ცხოვრების სიმტკიცე საეჭვო გამხდარა, ან ხალხი, ვისაც უჭირს ილუზორული და ნამდვილი ცხოვრების ერთმანეთისაგან გარჩევა.

346 გვერდი
რბილი ყდა

რობერტ მუზილი

ყმაწვილი ტერლესის სულიერი შფოთვა

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

„ყმაწვილი ტერლესის სულიერი შფოთვა“ უდიდესი ავსტრიელი მწერლის, რობერტ მუზილის (1880 - 1942) პირველი რომანია, რომელიც 1906 წელს გამოიცა.
მწერალი უაღრესად ზუსტად და ფაქიზად აღწერს მშობლებისგან გამოყოფის ერთდროულად მტანჯველ და სასიამოვნო განცდებს მოზარდობისას. ინტერნატში სასწავლებლად გამგზავრებულ, მარტო დარჩენილ ტერლესს ახალი საყრდენი და ემოციები სჭირდება. პირველ ვნებებს სირცხვილისა და სიამოვნების მტანჯველი შეგრძნებებიც ახლავს თან. ტერლესი აღმოაჩენს, რომ ინტერნატის ერთ-ერთი მოწაფის მიმართ აქამდე უცნობ ლტოლვას გრძნობს. მაგრამ ეს მხოლოდ მოზარდის მელანქოლიური, არავისკენ მიმართული უმიზნო მგრძნობიარობაა, რომელსაც საბაბი სჭირდება ჯებირების გასანგრევად.
რა ბედი ეწევა ტერლესს, რომლის თვითგამორკვევის რთული პროცესი სასტიკ, ძალადობრივ გარემოში მიმდინარეობს? რა შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევს მას, როცა თანატოლ მოძალადეებს დაუპირისპირდება? და გაითავისებს თუ არა მოსაზრებას, რომ „სამყაროს დიდებულ მექანიზმში ზოგი ადამიანის არსებობა შემთხვევითი და გაუთვალისწინებელია“? 1966 წელს გერმანელმა რეჟისორმა ფოლკერ შლენდორფმა რომანის მიხედვით გადაიღო ფილმი სახელწოდებით „ახალგაზრდა ტერლესი“.

174 გვერდი
რბილი ყდა

ᲑᲝᲰᲣᲛᲘᲚ ᲰᲠᲐᲑᲐᲚᲘ

ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲢᲝᲝᲑᲐ

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲛᲣᲮᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ, ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲢᲠᲐ�გᲘᲖᲛᲘ - ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲩᲔᲮᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲑᲝᲰᲣᲛᲘᲚ ᲰᲠᲐᲑᲐᲚᲘᲡ (1914 - 1997) ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ �თᲔᲛᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲙᲣᲚᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲬᲜᲔᲮᲔᲚᲘ ᲰᲐᲜᲢᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ Love-story-Ს ᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ „ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲢᲝᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ - ᲛᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲜᲩᲘᲜᲙᲐ, ᲑᲝᲨᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲤᲔᲠᲐᲓ-ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲰᲐᲜᲢᲐᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘ ᲑᲘᲫᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲕᲐ�გᲝᲜᲔᲢᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲐ - ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲠᲔᲞᲠᲘᲜᲢᲘ

~~12.95₾~~
10₾

108 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
ᲠᲑᲘᲚᲘ ᲧᲓᲐ

ᲑᲝᲰᲣᲛᲘᲚ ᲰᲠᲐᲑᲐᲚᲘ

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲛᲣᲮᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ“ ᲓᲘᲓᲘ ᲩᲔᲮᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲑᲝᲰᲣᲛᲘᲚ ᲰᲠᲐᲑᲐᲚᲘᲡ (1914 - 1997) ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ.
ᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔ ᲛᲘᲚᲝᲨ ᲰᲠᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲛᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔᲐ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲭᲕᲣᲚᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲛᲓᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐᲡ. ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲑᲝᲑᲝᲥᲐᲠ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲡᲐᲐ ᲨᲔᲭᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲚᲝᲨ ᲰᲠᲛᲐ ᲰᲠᲐᲑᲐᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ...
ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ 1966 ᲬᲔᲚᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲘᲠᲟᲘ ᲛᲔᲜᲪᲔᲚᲛᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲪᲮᲝᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ „ᲝᲡᲙᲐᲠᲘ“ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ.



ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ

~~12.95₾~~
6.50₾

82 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
ᲠᲑᲘᲚᲘ ᲧᲓᲐ

მატიას ენარი
კომპასი
მთარგმნელი: პაატა ჯავახიშვილმი

„კომპასი“, რომლისთვისაც მწერალს 2015 წელს გონკურის პრემია მიენიჭა, თვალწინ გვიშლის აღმოსავლეთს, რომელიც თავისი იდუმალებით ოდითგანვე ხიბლავდა და იზიდავდა დასავლელ ხელოვანებს. ამ რომან-ეპოპეის სიუჟეტი ერთ ღამეს მოიცავს, როცა უძილობით გაწამებულ მთავარ გმირს ფრანც რიტერს მოგონებები მოეძალება, მოგონებები საყვარელ ქალზე _ სარაზე და აღმოსავლეთზე. სარა და ფრანცი კარგავენ, პოულობენ, ისევ კარგავენ ერთმანეთს, და მათი კომპასი მთელი ამ დროის განმავლობაში ჯიუტადაა მიმართული აღმოსავლეთისაკენ. უწერიათ თუ არა მათ შეხვედრა?..



~~19.95₾~~
10₾

490 გვერდი
რბილი ყდა

ნატალია გინძბურგი
ოჯახური ლექსიკა
მთარგმნელი: მადონა ბოკუჩავა

„ოჯახური ლექსიკა“ ნატალია გინძბურგმა 1963 წელს დაწერა. რომანმა იტალიის ყველაზე პრესტიჟული პრემია „სტრეგა“ მიიღო. წიგნში ნახსენები ადგილები, ამბები და მოქმედი გმირები ნამდვილია, მწერალს არაფერი გამოუგონია, თუმცა, როგორც თვითონ წერს: „მეხსიერება მყიფე რამაა და წიგნები, რომლებიც რეალობას ასახავს, სხვა არაფერია, თუ არა მკრთალი ანარეკლი და ნამსხვრევები იმისა, რაც გვინახავს ან გვსმენია“.
ამ რომანმა ავტორს განსაკუთრებული პოპულარულობა მოუტანა. ეს არის იუმორით
განზავებული, მსუბუქი და ლაკონური ენით დაწერილი მოგონებები დიდ ოჯახში
გატარებულ ბავშვობასა და სიყმაწვილეზე, ომისწინა მღელვარე დროსა და ცხოვრების
სირთულეებზე, რომლებიც ავტორმა ახლობლებთან ერთად გამოიარა.

~~14.95₾~~
7.50₾

216 გვერდი
რბილი ყდა

ქრისტოფ რანსმაირი

უკანასკნელი სამყარო

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

ავსტრიელი მწერალი ქრისტოფ რანსმაირი (1954) არაერთი გერმანულენოვანი თუ საერთაშორისო პრემიის ლაურეატია. მის რომანში „უკანასკნელი სამყარო“ მოთხრობილია მაქსიმუს კოტას მოგზაურობის ამბავი ქვეყნის დასალიერში, შავიზღვისპირა ქალაქ ტომისში, აქ გადასახლებული პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის კვალდაკვალ. ეს ქალაქი უკანასკნელი სამყაროს მოდელია, ადამიანური იმედების, სურვილების განადგურების ადგილი. ტექსტში უცნაურადაა გადახლართული ძველი სამყარო, მითები, დღევანდელობა. „უკანასკნელი სამყარო“ ოცდაოთხ ენაზეა ნათარგმნი და პოსტმოდერ?ნისტული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნიმუშად ითვლება.

~~17.95 ₾~~
9 ₾

256 გვერდი
რბილი ყდა

უილიამ ტრევორი

ნაწვიმარზე

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

„ნაწვიმარზე“ თორმეტი მოთხრობისაგან შემდგარი კრებულია. მათი გმირები ირლანდიის პროვინციული ქალაქებისა და ფერმების მკვიდრი უბრალო, უმნიშვნელო ადამიანები არიან, რომელთა ცხოვრებაც სავსეა წარუმატებლობით, შიშით, მწარე იმედგაცრუებით, სინანულითა და, რაც ყველაზე თვალში საცემია, უკიდეგანო მარტოობით. ყოველდღიური მძიმე საზრუნავი, ხშირად კი უბადრუკი აზრები და ცრურწმენები ამ ადამიანებს აიძულებს, შეეგუონ ცხოვრების ჩვეულ რიტმს და არც ეძებონ გამოსავალი, ზოგჯერ კი, თითქმის გაუცნობიერებლად, ბოროტებაც ჩაიდინონ...

~~17.95 ₾~~
9 ₾

267 გვერდი
რბილი ყდა

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო
ალმა
მთარგმნელი: თამარ ლომიძე

ნობელის პრემიის ლაურეატი ფრანგი მწერლის ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს (1940) „ალმა“ მოგვითხრობს ძიების ვნებით შეპყრობილი ერთი გვარის მატარებელი ორი კაცის ამბავს: ჟერემი ფელსენი საფრანგეთიდან მავრიკის კუნძულზე მიემგზავრება წინაპრების კვალის საძებნელად და გადაშენებული ფრინველის, დოდოს შესახებ უფრო მეტის შესატყობად; დომინიკ ფელსენი, მეტსახელად „დოდო“ კი, მავრიკელი მაწანწალა, პარიზში მიდის. მისი მიზანიც დაკარგული ნაწილის ძიებაა, წინაპრების ქვეყანაში აჩრდილებთან შეხვედრა და მათგან რაღაც ისეთის შეტყობა, რაც სხვაგვარ შუქში დაანახებდა ამ სამყაროში საკუთარ არსებობას.



260 გვერდი
რბილი ყდა

იუკიო მიშიმა
ნიღბის აღსარება
მთარგმნელი: თათია მემარნიშვილი

იაპონელი მწერლის, იუკიო მიშიმას რომანმა „ნიღბის აღსარება“ გამოსვლისთანავე საყოველთაო აღიარება მოუტანა 24 წლის ავტორს. ამ სანახევროდ ავტობიოგრაფიულ წიგნში თავგზააბნეული ახალგაზრდა კაცის ფარული მისწრაფებების კვლევას დროდადრო სადომაზოხისტური ფანტაზიები ენაცვლება.
მთხრობელს ნიღბების ცვლა შესანიშნავად გამოსდის და ერთგვარად ეხმარება კიდეც - დარჩეს ბოლომდე გულწრფელი, თვალი გაუსწოროს ძნელად გასააზრებელ სიმართლეს. ძალადობა, სხვადასხვა სახით გამოვლენილი სექსუალობა, ადრეულ ასაკში სიკვდილის გამძაფრებული წყურვილი - ამ წიგნში იუკიო მიშიმასთვის მნიშვნელოვან ისეთ თემებს ვხვდებით, რომლებსაც მოგვიანებით დაწერილ რომანებში იგი არაერთხელ დაუბრუნდება.

170 გვერდი
რბილი ყდა

მარგარეტ ლორენსი

ქვის ანგელოზი

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

რომანი „ქვის ანგელოზი“ კანადური ლიტერატურის კლასიკოსის, მარგარეტ ლორენსის (1926-1987) ე. წ. „მენავაკის ციკლის“ პირველი და ყველაზე ცნობილი წიგნია.
მენავაკა კანადის პრერიებში მდებარე გამოგონილი პატარა ქალაქია. მას ხშირად ადარებენ ფოლკნერის იოკნაპატოფას, თავად ლორენსს კი „კანადელ ფოლკნერს“ უწოდებენ.„ქვის ანგელოზის“ მთხრობელი, ხანში შესული ჰეიგარი, თავისი რთული, დრამატული ცხოვრების ამბავს ჰყვება. მის მონათხრობში გარდასული ცხოვრების სურათებს აწმყო ენაცვლება ხოლმე, აწმყოში კი ჰეიგარს ერთადერთი რამ სურს - არ მოხვდეს მოხუცთა თავშესაფარში...

~~17.95₾~~
9₾

332 გვერდი
რბილი ყდა

ნ. ვ. გოგოლი

მკვდარი სულები

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

რუსული ლიტერატურის კლასიკოსის, ნიკოლაი გოგოლის (1809-1852) „მკვდარი სულები“ იმ დიდ წიგნებს შორისაა, რომლებმაც თვალსაჩინო კვალი დატოვეს მწერალთა და მკითხველთა თაობებზე. მთავარი გმირის, პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვის მოგზაურობას სოფლიდან სოფელში, ერთი მემამულის სამფლობელოდან მეორეში წარმოუდგენელი მიზანი აქვს: ეგრეთ წოდებული მკვდარი სულების შეგროვება. XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთი მკითხველის თვალწინ მთელი სისავსით ცოცხლდება: უსწრაფესად გავრცელებული ჭორებით, უცაბედი გამდიდრების მსურველებით, ქრთამის აღებას დაჩვეული მოხელეებით, განსაცდელში ჩავარდნილი მებატონეებით, დაგირავებული ყმაგლეხობით...

~~19.95₾~~
12₾

470 გვერდი
რბილი ყდა

რობერტ გრეივზი
მე, კლავდიუსი
მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

„მე, ტიბერიუს კლავდიუს დრუზუს ნერონ გერმანიკუს და ა.შ. და ა.შ. (ყველა ჩემი წოდების ჩამოთვლითაც არ შეგაწყენთ თავს), ვინაც ერთ დროს და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნაცნობ-მეგობრებისა თუ ნათესავების წრეში მოვიხსენიებოდი როგორც „კლავდიუს ჩლუნგი“ თუ „ის ჩემის კლავდიუსი“, „კლავდიუს ბლუ“, „კლა-კლა-კლავდიუსი“, ანდა, მთლად უკეთეს შემთხვევაში - „საწყალი ძია კლავდიუსი“, დღევანდელ დღეს საკუთარი, ერთობ უცნაური ცხოვრების წერად ვჯდები“... ასე იწყება რობერტ გრეივზის (1895-1985) ყველაზე ცნობილი რომანი, ისტორიული ჟანრის შედევრი, რომელიც ჩვ. წ. I საუკუნეში მცხოვრები, კალიგულას მემკვიდრე და ნერონის წინამორბედი იმპერატორის, კლავდიუსის ავტობიოგრაფიაა.

~~29.95₾~~
15₾

598 გვერდი
რბილი ყდა

ფლენერი ო’კონორი
კარგი კაცი სანთლით საძებარია
მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

ამერიკული ლიტერატურა წარმოუდგენელია ფლენერი ო’კონორის (1925-1964) გარეშე.
მწერლის მემკვიდრეობა, სხვა დიდი სამხრეთელის - უილიამ ფოლკნერის წიგნებთან ერთად, სამხრეთული გოთიკის კლასიკაა. „კარგი კაცი სანთლით საძებარია“ - კრებული, რომელშიც ათი მოთხრობა შედის - 1955 წელს გამოიცა. მწერალი სწორედ მოთხრობის ჟანრის ოსტატად ითვლება. ფლენერი ო’კონორის სამყარო სასტიკია - სავსე ადამიანთა აულაგმავი სურვილებითა და ბნელი ზრახვებით, ადამიანებისა, რომლებსაც არც ღმერთის სწამთ და არც ეშმაკის ეშინიათ.

~~15.95₾~~
9.50₾

288 გვერდი
რბილი ყდა

ᲑᲠᲣᲜᲝ ᲨᲣᲚᲪᲘ

ᲓᲐᲠᲘᲩᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲚᲑᲐᲥᲔᲑᲘ

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ

ბრუნო შულცი 1892 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ქალაქ დროგობიჩში დაიბადა. მთელი ცხოვრება ადგილობრივ სკოლაში მუშაობდა ხატვის მასწავლებლად და სიკვდილიც იმავე ქალაქში ეწერა - 1942 წელს ქუჩაში მიმავალი შულცი გესტაპოს ოფიცერმა თავში გასროლით მოკლა. ერთი წლით ადრე, როცა ნაცისტებმა დროგობიჩი დაიკავეს, ებრაელმა შულცმა თავისი ნახატებისა და ხელნაწერების დიდი ნაწილი შესანახად გადასცა არაებრაელ მეგობრებს. იქიდან აღარაფერი გადარჩენილა.
ბრუნო შულცი, მოთხრობების ორი პატარა კრებულის ავტორია. „დარიჩინის ქულბაქები“ შულცის პირველი, 1934 წელს გამოქვეყნებული წიგნია.

~~12.95 ₾~~
8 ₾

160 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
ᲠᲑᲘᲚᲘ ᲧᲓᲐ

�პᲘᲔᲠ ᲑᲣᲚᲘ

ᲮᲘᲓᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲕᲐᲘᲖᲔ

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ: ᲖᲐᲖᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

ფრანგი მწერლის, პიერ ბულის (1912-1994) „ხიდი მდინარე კვაიზე“ გამორჩეულია მეორე მსოფლიო ომის თემაზე დაწერილ წიგნებს შორის. რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი კი ჰოლივუდის ყველა დროის საუკეთესო ფილმებს შორისაა.
წიგნი რეალურ ფაქტებს ეყრდნობა, კერძოდ, სამხედრო ტყვეების ყოფას, რომლებიც ე. წ. „სიკვდილის რკინიგზის“ მშენებლობაზე მუშაობდნენ. იაპონელები დატყვევებულ ბრიტანელებს ტაილანდის ჯუნგლებში გამართულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში მიერეკებიან. ტყვეებმა უმოკლეს დროში უნდა ააგონ სტრატეგიული მნიშვნელობის სარკინიგზო ხიდი. ბრძანება გაცემულია, თუმცა ინგლისელების მეთაურ პოლკოვნიკ ნიკოლსონს იაპონელებთან თავისი მოთხოვნები აქვს...

~~12.95 ₾~~
6.50 ₾

166 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
ᲠᲑᲘᲚᲘ ᲧᲓᲐ

ჯულიან ბარნსი

ინგლისი, ინგლისი

მთარგმნელები: გია ჟუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

"ინგლისი, ინგლისი" ცნობილი ბრიტანელი მწერლის, ჯულიან ბარნსის (1946) რომანია, რომელიც, კრიტიკოსთა აღიარებით, პოსტმოდერნული, სატირული და ანტიუტოპიური ლიტერატურის ნიმუშს წარმოადგენს. რა უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში - ორიგინალი თუ ასლი? სადამდე შეიძლება მიიყვანოს საზოგადოება სიმულაციური პროცესებით გატაცებამ? შესაძლებელია თუ არა წარსულის გამოგონება და გამოგონილი ტრადიციებით ცხოვრება? - ქვეყანაში, სადაც ასეთი კითხვები ბუნებრივად ჩნდება, რომანის მთავარი გმირი, მართა კოკრინი ბედნიერებას ეძებს.

352 გვერდი
რბილი ყდა

ჯულიან ბარნსი

მსოფლიოს ისტორია 10½ კარად

მთარგმნელი: გია ჟუმბურიძე

წიგნში თხრობის ფორმა ამბიდან ამბამდე იცვლება - მონოლოგი, ესე, დღიური, ოქმი... წიგნის სათაური, ცხადია, ირონიულია. ბარნსი წარსულს, ისტორიას, ფაქტებსა და მათ ინტერპრეტაციას ეჭვის თვალით უყურებს. ბიბლიური წარღვნის არაკანონიკური ვერსია, ნოეს კიდობანს უნებართვოდ დამგზავრებული სულიერი რომ გვიყვება, მეთექვსმეტე საუკუნის საფრანგეთში გამართული სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც ღვთის გმობაში ბრალდებულ ხის ჭიათა ბედი წყდება თუ ჟერიკოს სახელგანთქმული ტილოს, „მედუზას ტივის" შექმნის ამბავი პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებია.

330 გვერდი
რბილი ყდა

სალმან რუშდი

ჯოზეფ ანტონი

მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე

1989 წლის 14 თებერვალს სალმან რუშდის BBC-ის რეპორტიორმა დაურეკა და ამცნო: აიათოლა ჰომეინიმ სიკვდილი მოგისაჯათო... ბრალად იმას სდებდნენ, შენი რომანი „ეშმაკეული აიები“ ისლამის, წინასწარმეტყველისა და ყურანის წინააღმდეგაა მიმართულიო. ასე იწყება ლამის დაუჯერებელი ამბავი იმის შესახებ, როგორ იქცა მწერალი დევნილად საკუთარ ქვეყანაში; მდევნელთაგან დასამალად კი იძულებული ხდებოდა, ერთთავად პოლიციის დაცვის ქვეშ ყოფილიყო და ისიც კი მოსთხოვეს, ეგებ ფსევდონიმი შეგერჩიაო. მანაც საყვარელი მწერლები გაიხსენა და არჩევანი კონრადსა და ჩეხოვზე შეაჩერა – ასე მოევლინა ქვეყანას ჯოზეფ ანტონი.

846 გვერდი
რბილი ყდა

გ. კ. ჩესტერტონი

მოთხრობები მამა ბრაუნზე

მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე

ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსი გ. კ. ჩესტერტონი (1874-1936) უამრავი ლექსის, მოთხრობის, რომანისა და ესეს ავტორია, თუმცა, პირველ რიგში, მაინც მამა ბრაუნის შესახებ შექმნილი მოთხრობებითაა ცნობილი. ამ მოთხრობებში ყოველთვის არის დამნაშავე, რომლის მხილებასაც ჩია, მორიდებული კათოლიკე მღვდელი ცდილობს. ბრიტანეთში მამა ბრაუნი პოპულარობით ლეგენდარულ ბეიკერსტრიტელ დეტექტივსაც კი უწევს მეტოქეობას. ჩესტერტონი – მისი კლასიკად ქცეული სენტენციებისა და თხრობის ბრწყინვალე სტილის წყალობით – არა მხოლოდ დეტექტიური ჟანრის მოყვარულებს იზიდავს.

398 გვერდი
რბილი ყდა

ჯონ მაქსველ კუტზეე
პოლ ოსტერი

აქ და ახლა - წერილები (2008-2011)

მთარგმნელები:
ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია

332 გვერდი
რბილი ყდა

მართალია, ერთმანეთის ნაწერებს წლების განმავლობაში კითხულობდნენ, ურთიერთობა კი 2005 წლიდან აქვთ, პოლ ოსტერი და ჯონ მაქსველ კუტზეე ერთმანეთს მხოლოდ 2008 წელს შეხვდნენ. შეხვედრიდან ძალიან მალე კუტზეემ ოსტერს წერილი მისწერა, რომელშიც თანამშრომლობას სთავაზობდა. მისმა წინადადებამ ოსტერი დააინტერესა. საპასუხო წერილში მან კუტზეეს მათთვის საინტერესო თემებზე ხანგრძლივი დიალოგის წამოწყება შესთავაზა. ასე გაჩნდა ის მიმოწერა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი.
ინგლისურიდან თარგმნეს ქეთი ქანთარიამ (პოლ ოსტერის წერილები) და ირმა ტაველიძემ (ჯ.მ. კუტზეეს წერილები).

დიოგენე ET CETERA

გამომცემლობა „დიოგენეს“ სერია „ET CETERA”, ძირითადად, ჟანრული ლიტერატურისა და ნონფიქშენის ნიმუშებს აერთიანებს.
ჩვენი ბესტსელერების განახლებულ გამოცემებთან ერთად ამ სერიაში ქართველი და უცხოელი ავტორების ახალი წიგნები შედის.

მაგდა კალანდაძე
მეორე ოთახი

„მეორე ოთახი“ მაგდა კალანდაძის პირველი რომანია, რომლის მთავარი გმირიც წარსულის მოთვინიერებულ აჩრდილებთან ერთად მარტო ცხოვრობს დიდ ბინაში. მთარგმნელისა და რედაქტორის, ელენე მახარაძის ზანტ, ერთფეროვან მყუდროებას ერთი შეხედვით საფრთხე არსაიდან ემუქრება, თუმცა მალე მის ყოველდღიურობაში ახალი ადამიანი ჩნდება, რომელზე დაკვირვებაც, რომლის ყურადღების მიპყრობაც უმთავრეს ამოცანად ექცევა. ხმამაღლა ნათქვამი ყოველი ფრაზა, დაახლოების მიზნით გადადგმული ყოველი ნაბიჯი სიფრთხილეს ითხოვს. საზოგადოება, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ, განუსჯელად დადანაშაულებას მისჩვევია. მოვლენების მოულოდნელმა განვითარებამ კი შესაძლოა წამში გამოგაცალოს მიწა ფეხქვეშ.

~~14.95₾~~
9₾

116 გვერდი
რბილი ყდა

მინდია არაბული
ყოველი ამბის დასასრული

~~14.95₾~~
7.50₾

134 გვერდი
რბილი ყდა

„მინდია არაბულის მოთხრობების კრებულში თავმოყრილი ტექსტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ნაწარმოებებია; თითოეულ მათგანში მოქმედება, თხრობა რადიკალურად განსხვავებულ დროსა და სივრცეში მიმდინარეობს, მაგრამ გრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ამბებს რაღაც არსებითი აკავშირებს, ამთლიანებს. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობათა სიუჟეტები მკვეთრად არის დაშორებული თანამედროვეობას, სოციალურ რეალობას, ყველა მათგანი განსაკუთრებული მხატვრული სიღრმითა და ირონიით ზედმიწევნით ზუსტად აღწერს ჩვენს აწმყოს; პერსონაჟები, რომლებიც აქ გვხვდებიან, უძველესი ეპოქების ან ძალზე შორეული მომავლის ნაწილნი არიან, მაგრამ დაუძლეველი სიჯიუტით გვგვანან ჩვენ. შიში უცხოსადმი, სხვისადმი, რელიგიურ რელიკვიათა წარმოქმნის კარიკატურულობა, ტექნოლოგიების გავლენის შიშის აბსურდულობა და ა. შ. - ეს ის თემებია, რომლებიც წიგნში ენობრივი ექსპერიმენტებით, სტილიზების მეთოდებით და თხრობის განსაკუთრებული ტექნიკებით არის სიუჟეტებში გაშლილი“.

ლექსო დორეული, ფილოსოფოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი

ერიკ ვუიარი
დღის წესრიგი
მთარგმნელი: თამარ ლომიძე



~~13.95₾~~
5.50₾

98 გვერდი
რბილი ყდა

„დღის წესრიგი“ თანამედროვე ფრანგი მწერლის, პოეტის, სცენარისტის, კინორეჟისორის ერიკ ვუიარის რომანია, რომლისთვისაც ავტორს 2017 წელს გონკურის პრემია მიენიჭა. წიგნი მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზებს უტრიალებს: ჰიტლერისა და მსხვილი გერმანელი მეწარმეების ფინანსურ გარიგებას, ევროპელი ლიდერების შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ნაცისტური რეჟიმისადმი, რომელმაც ჯერ გერმანიის მრეწველობა და ბანკები დაიქვემდებარა, მერე არასასურველი ადამიანები დაადუმა ან განდევნა, ბოლოს კი უცხოური სახელმწიფოების ტერიტორიების დასაპყრობად მოიცალა.
ავტორი აღწერს გერმანული ნაციზმის ულმობელ სვლას დასახული მიზნისაკენ, რამაც ევროპის უდიდესი ნაწილი მხრჩოლავ ნანგრევებად აქცია და მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა.

ირმა ტაველიძე
ბნელ წყლებში

„ბნელ წყლებში“ ირმა ტაველიძის პირველი რომანია. დღემდე „დიოგენეში" მისი ორი წიგნი გამოიცა: მოთხრობების კრებული „აღმოსავლეთის გამოგონება" და ესეების კრებული „სტალინის ნაძვები და სხვა მოთხრობები". გასული საუკუნის მიწურულს პროვინციული თეატრის დასი ჟან ჟენეს „მოახლეების“ დადგმისთვის ემზადება. რეპეტიციები დაწყებულია, როცა იანვრის ერთ დილას თეატრისკენ მიმავალი მთავარი როლის შემსრულებელი გონებას კარგავს და მთელ თვეს საავადმყოფოში ატარებს. თაყვანისმცემელი გოგონების ხშირი სტუმრობით გაბეზრებული ალექსანდრე თავის საფიქრალს მისცემია. თანდათან ირკვევა, რომ მისი წარსული მტკივნეულ, ვერდავიწყებულ ამბებს ინახავს, მომავალში კი არანაკლებ მტკივნეული მოულოდნელობაა...

~~14.95₾~~
9₾

148 გვერდი
რბილი ყდა

დანიელ პენაკი
რომანივით საკითხავი
მთარგმნელი: ია ბერსენაძე

ეს წიგნი იმაზეა, როგორ უნდა შევაყვაროთ ბავშვებსა და ახალგაზრდებს კითხვა. კი არ ვაიძულოთ, ძალა დავატანოთ, არამედ შევაყვაროთ, ეს არის უნატიფესი ლიტერატურული გემოვნებით და დახვეწილი ფრანგული იუმორით დაწერილი ამბავი იმაზე, რომელ ასაკში როგორ უნდა მივუდგეთ ჩვენს შვილებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, რათა ის „უკურნებელი სენი“ შევყაროთ, რასაც ლიტერატურის და, ზოგადად, კითხვის სიყვარული ჰქვია. ოღონდ არ იფიქროთ, რომ წიგნი რამე მეცნიერულ მეთოდოლოგიას გვაცნობს. ეს „რომანივით საკითხავია“, რომელშიც თითოეული ჩვენგანი აუცილებლად იპოვის საკუთარ თავს.

~~13.95₾~~
7₾

123 გვერდი
რბილი ყდა

მაიკლ ონდაატჩი
ომის წილი სინათლე
მთარგმნელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭილაძე



294 გვერდი
რბილი ყდა

გამორჩეული კანადელი მწერლის, მაიკლ ონდაატჩის რომანი „ომის წილი სინათლე“ (2018) იმ წლებზე მოგვითხრობს, რომლებიც მთავარმა გმირმა, ნათანიელმა, სიმართლის ძიებაში გაატარა. 1945 წლის ზაფხულში ლონდონში ორ მოზარდს მშობლებმა აცნობეს, რომ სამუშაოდ სინგაპურში მიდიოდნენ, მათ წაყვანას კი არ აპირებდნენ. ცოტა ხანში ორივეს კვალი გაქრა და თავგზააბნეული და-ძმისთვის სამყარო კიდევ უფრო იდუმალი გახდა. რა იცოდნენ მშობლებზე? როგორ უნდა ეცხოვრათ იმ უცნობების გარემოცვაში, რომლებიც მფარველებად და გზის მაჩვენებლებად გამოეცხადნენ? წლების შემდეგ ნათანიელს გამბედაობა ჰყოფნის იმისათვის, რომ წარსულის ბნელ წყალში ღრმად ჩაყვინთოს და შორეული სიმართლის მკრთალი შუქიც იხილოს.

ალეკო შუღლაძე
გადამალვა

200 გვერდი
რბილი ყდა

ალეკო შუღლაძე 90-იანებში გამოჩნდა და მაშინვე მიიზიდა მკითხველი თავისი იოლად გამოსარჩევი წერის მანერით, რომელშიც ლაღი იუმორი, ხედვის პარადოქსალურობა და ეგზისტენციალური სიმძიმეები ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს. რომან „გადამალვაში“ 15 წლის განმავლობაში ნაფიქრი, განცდილი და თავს გადამხდარია თავმოყრილი. ესაა რომანი, სადაც სიკვდილს და ავადმყოფობას ებრძვიან, სადაც ადამიანები ურთიერთთანადგომას სწავლობენ ამ ბრძოლაში, სადაც სტერეოტიპებისა და კომპლექსებისგან თავისუფლდებიან.

შოთა იათაშვილი

კენ კიზი

გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა

მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე

„...გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ 1962 წელს დაიწერა. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია წიგნი, რომელიც ასე ზუსტად გამოხატავს კონკრეტული ეპოქის სულს და, ამავდროულად, მარადიულ ფასეულობებს ეხმიანება - ინდივიდისა და სოციუმის ურთიერთობა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, საკუთარი ფესვების ძიება... სრულიად ლოგიკურია, რომ რომანი კენ კიზიმ დაწერა - ადამიანმა, რომელიც თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მუდმივი, ნაირგვარი შემოქმედებითი ძიებებით ამერიკული კონტრკულტურის ორგანული ნაწილი იყო. წიგნის მიხედვით 1975 წელს მილოშ ფორმანმა ლეგენდარული ფილმი გადაიღო, რომელშიც მთავარი როლი ჯეკ ნიკოლსონმა შეასრულა.

~~17.95₾~~
11₾

238 გვერდი
რბილი ყდა

ყურბან საიდი

ალი და ნინო

მთარგმნელი: მაია მირიანაშვილი

რომანში მოთხრობილია აზერბაიჯანელი არისტოკრატული ჩამომავლობის ქაბუკის ალი შირვანშირისა და ქართველი თავადს ასულის ნინო ყიფიანის სიყვარულის
ისტორია, რომელიც პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის ფონზე ვითარდება.
რომანის გეოგრაფია მდიდარია - თბილისი, ბაქო, თეირანი...
ეს ის ქალაქებია, რომლებსაც მწერალი დიდი ოსტატობით, ეპოქის, რელიგიური და ეროვნული თავისებურებების ღრმა ცოდნით აღგვიწერს.



~~14.95₾~~
9₾

246 გვერდი
რბილი ყდა

ფრიდრიხ დიურენმატი

მინოტავრი. დავალება

მთარგმნელი: მაია ბადრიძე

ფრიდრიხ დიურენმატი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც ფსიქოლოგიური დეტექტივის დიდოსტატი. წიგნი მის ორ ნაწარმოებს აერთიანებს. „მინოტავრი“ არის სევდიანი ამბავი ურჩხულზე, რომელიც მინის კედლებიან ლაბირინთში გამოკეტეს და რომელიც ცდილობს, გარშემო არეკლილ უთვალავ ორეულთან დაამყაროს ურთიერთობა. „დავალება“ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური დეტექტივია, სადაც სიუჟეტი უცნაური შემთხვევითობებისა და გასაოცარი დამთხვევების ფონზე ვითარდება. ამ სამყაროში არავინ არავის ენდობა. აქ ყველა ყველას და ყველაფერს აკვირდება.

~~11.95₾~~
7₾

102 გვერდი
რბილი ყდა

სიუ მონკ კიდი

ფუტკრების იდუმალი ცხოვრება

მთარგმნელი: თამარ ლომიძე

სიუ მონკ კიდის რომანი „ფუტკრების იდუმალი ცხოვრება“ 2002 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე ბესტსელერად იქცა. რომანში გადმოცემულია მოზარდის სულიერი ჩამოყალიბების პროცესი. თოთხმეტი წლის ლილი ოუენსი, რომელსაც ადრეული ბავშვობისას შემთხვევით დედა შემოაკვდა, თავის ისტორიას მოგვითხრობს. შავკანიან მსახურ ქალთან ერთად ლილი შინიდან გარბის, რათა თავი დააღწიოს მამის დესპოტიზმს. ის შეიტყობს სიმართლეს დედაზე და ჰუმანური და ბრძენი მეფუტკრე ქალების ოჯახში მოხვედრის შემდეგ, პოვებს სულიერ სიმშვიდეს.

~~16.95₾~~
9.50₾

360 გვერდი
რბილი ყდა

ჯონათან საფრან ფოერი

უსაშველოდ ხმამაღლა და წარმოუდგენლად ახლოს

მთარგმნელი: დავით ახალაძე

„უსაშველოდ ხმამაღლა და წარმოუდგენლად ახლოს“ ჯონათან საფრან ფოერის მეორე და ყველაზე ცნობილირომანია. წიგნის მთავარი გმირია ცხრა წლის ოსკარ შელი, ჭკვიანი და უცნაური ბიჭი, რომელსაც 11 სექტემბერის ტრაგედიისას მამა დაეღუპა. ოსკარი ცდილობს, მამის სიკვდილით გამოწვეულ დარდს ებრძოლოს და ეს ბრძოლა ფსიქოთერაპიის სეანსიდან კი არ იწყება, რომელზეც დედას მიჰყავს, არამედ მამის ნივთებში ნაპოვნი კონვერტიდან, რომელშიც გასაღები დევს. ოსკარი მთელ ნიუ-იორკში ეძებს საკეტს, ~ რომელსაც ის მოერგება და იმედი აქვს, რომ შეიტყობს მამასთან დაკავშირებულ საიდუმლოს.

~~20.95₾~~
10.50₾

502 გვერდი
რბილი ყდა

ზვიად რატიანი

ნეგატივი. 2009-1996

ზვიად რატიანი, პოეტი და პოეზიის მთარგმნელი, ავტორია პოეტური კრებულებისა „გამომიგონე“, „ჩურჩულის გაკვეთილი“, „ჯიბის ჰაერი“, „გზები და დღეები“, „ნეგატივი. 2009-1996“ და „შენთვის შეიძლება“. არის პოეტური ანთოლოგიების „გადასახედი“ და „ქართული ლექსი, XX საუკუნე“ შემდგენელი. ნათარგმნი აქვს ცელანის, ელიოტის, რილკეს, ქრეინის, ფროსტის, პაუნდის, ოდენის, ლოუელის, მილოშის, ეშბერის, ლარკინის, ტრანსტრომერის, სტრენდის, სიმიკის, ზაგაევსკის, ვენცლოვას და სხვათა ლექსები. 2010 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ კრებულისთვის „ნეგატივი. 2009-1996“, 2016 წელს - ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ კრებულისთვის „შენთვის შეიძლება“, 2017 წელს - ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია წლის საუკეთესო თარგმნილი პუბლიკაციისთვის (რობერ ჰასის ლექსები).

~~12.95₾~~
6.50₾

170 გვერდი
რბილი ყდა

მილან კუნდერა
უკვდავება
მთარგმნელი: პაატა ჯავახიშვილი



366 გვერდი
რბილი ყდა

თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მწერლის, მილან კუნდერას რომანი „უკვდავება“ (1990) გამოსვლისთანავე შედევრად აღიარეს. ამ წიგნმა თანაბრად ააღელვა როგორც ფრანგი ინტელექტუალები და ლიტერატურისკვლევრები, ასევე ის მკითხველები, რომლებიც მწერლის ახალ ნამუშევარს მოუთმენლად ელოდნენ. პარიზში დასახლებული დების, ანიესისა და ლორას სიყვარულისა და დაუძლეველი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების ამბავი ბუნებრივად ეხმიანება დიდი გერმანელი პოეტის, გოეთესა და მასზე შეყვარებული ბეტინა ბრენტანოს დაუვიწყარ ისტორიას.

ჯულიან ბარნსი
დასასრულის განცდა
მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე

176 გვერდი
რბილი ყდა

„დასასრულის განცდა“ ცნობილი ინგლისელი მწერლის, ჯულიან ბარნსის 2011 წელს გამოცემული რომანია. ამავე წელს ბარნსს წიგნისთვის ბუკერის პრემია მიენიჭა. ლონდონის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც ამბის მთხრობელი, ტონი უებსტერი და მისი ორი მეგობარი სწავლობენ, ახალი მოსწავლე გადმოდის. ბიჭები მალევე უმეგობრდებიან ედრიენ ფინს, რომელიც ყველასგან გამორჩეულია. სკოლის დამთავრების შემდეგ ოთხივე საუკუნო მეგობრობის ფიცს დებს და თავის გზას ადგება. წლების შემდეგ უკვე ხანში შესული ტონი უებსტერი მოულოდნელ წერილს იღებს. წარსული, რომელშიც თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, ბევრ უცნაურობას მალავს.

სტივენ კინგი
კუჯო
მთარგმნელი: დავით ახალაძე

~~17.95₾~~
9₾

176 გვერდი
რბილი ყდა

რომანი „კუჯო“ სტივენ კინგის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ჟანრს, ჰორორს მიეკუთვნება. ამ რომანს საფუძვლად რეალური ამბავი დაედო, რომელმაც იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მწერალზე, რომ ცოფიანი სენბერნარი მის რამდენიმე წიგნში ფიგურირებს. კუჯო კეთილი, ჭკვიანი და ერთგული ძაღლია, რომელსაც ძალიან უყვარს ადამიანები. მას არავისთვის ვნების მიყენება არ უნდა, მაგრამ ცხელი ზაფხულის ერთ საბედისწერო დღეს ცოფიანი ღამურების სამყოფელში ცხვირის შემთხვევით ჩაყოფა შეიწირავს მის და ოთხი ადამიანის, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვის, სიცოცხლეს. ამ შემზარავი ამბის ფონზე კი რამდენიმე მძაფრი ადამიანური დრამა თამაშდება...

მაჰმუდ დოულათაბადი
პოლკოვნიკის მიმწუხრი
მთარგმნელი: თეა შურღაია

~~15.95₾~~
8₾

246 გვერდი
რბილი ყდა

მოქმედება მეოცე საუკუნის 80-იან წლებში - ისლამური რევოლუციის გარიჟრაჟსა და ირან-ერაყის ომის დროს, ერთი ღამის განმავლობაში ვითარდება. შაჰის არმიის გადამდგარმა პოლკოვნიკმა, რომლისთვისაც ეროვნული იდეალები და ღირსება მთავარ ფასეულობებს წარმოადგენს, შვილები პატრიოტებად აღზარდა და თავისუფალი არჩევანის უფლება მისცა. სხვადასხვა გზის არჩევის მიუხედავად, პოლკოვნიკის შვილები ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს ეწირებიან. ავტორის შთამბეჭდავი თხრობის წყალობით, მკითხველი არა მარტო ერთი ოჯახის ტრაგედიის, არამედ მთელი სახელმწიფოს დრამატული ისტორიის თანამონაწილე ხდება.

პროექტი „დარვინი”

პროექტ „დარვინის“ ფარგლებში გამოიცა ჩარლზ დარვინის ორი წიგნი - მისი მთავარი ნაშრომი „სახეობების წარმოშობა“ და მეცნიერის „ავტობიოგრაფია“.

პროექტის ავტორები არიან ბიოლოგები ცოტნე ჯავახიშვილი და ზაალ კიკვიძე.

ჩარლზ დარვინი
სახეობების წარმოშობა

მთარგმნელები: ხათუნა ხაბულიანი, ზაალ კიკვიძე

„თოფის სროლის, ძაღლებთან თამაშისა და ვირთხების დევნის მეტი არაფერი გაინტერესებს - ასე თავსაც მოიჭრი და ოჯახსაც შეარცხვენ“.

მამა - 16 წლის ჩარლზს.

„კემბრიჯში გატარებული სამი წელი ჩემთვის... ისევე უაზროდ გაფლანგული დრო იყო, როგორც მანამდე - ედინბურგში და სკოლაში“.

ჩ.დ. ავტობიოგრაფია

„ჩემნაირი საშუალო შესაძლებლობების კაცისგან მართლაც გასაკვირია რომ მოვახერხე და საგრძნობი გავლენა მოვახდინე მეცნიერებზე და მათ შეხედულებებზე ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით“.

ჩ.დ. ავტობიოგრაფია

~~36.95₾~~
22 ₾

504 გვერდი
რბილი ყდა

ჩარლზ დარვინი
ავტობიოგრაფია

მთარგმნელები: ზაზა ჭილაძე, გია ჭუმბურიძე



~~14.95₾~~
9₾

108 გვერდი
რბილი ყდა

ეს წიგნი მითებისა და გამოგონილი ამბების გარეშე გვიამბობს, ვინ იყო ადამიანი, რომელმაც აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა გააკეთა - როგორ იპარავდა ხილს ბავშვობაში, როგორ ჩაგრავდა უფროსი და კაროლინა, რატომ არ უყვარდა სკოლა და საერთოდ სწავლა, განსაკუთრებით ლექციები, რა გავლენა მოახდინეს მეგობრებმა, მასწავლებლებმა და მეტოქეებმა, როგორი იყო მისი თვითშეფასება, რას ფიქრობდა საკუთარ მიღწევებზე...

ავტობიოგრაფიის პირველი გამოცემებიდან რამდენიმე ფრაგმენტი, სადაც დარვინის რელიგიური შეხედულებები და ქრისტიანობასთან მისი დამოკიდებულებაა აღწერილი, ამოღებული იყო ცოლის, ემა ვეჯვუდის დაჟინებული მოთხოვნით. ემას აზრით, ეს შეხედულებები შეურაცხმყოფელი იყო ოჯახის წევრების, მეგობრებისა და მსახურებისთვისაც კი.

ეს თარგმანი შესრულებულია საბოლოო და სრული გამოცემის მიხედვით.

ამერიკელები | დიოგენე

სერია „ამერიკელები“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ოცდამეერთე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის 20 მნიშვნელოვან ტექსტს აერთიანებს. ეს არის წიგნები, რომელთა გარეშე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა.

ჰანტერ ს. თომპსონი

ზაფრა და გულისრევა ლას-ვეგასში

მთარგმნელი: გია ჟუმბურიძე

„ზაფრა და გულისრევა ლას-ვეგასში“ თომპსონის ყველაზე ცნობილი რომანია. ეს არის სხვადასხვა ჯურის ნარკოტიკებით – „ამყვანებით, დამყვანებით, ამჭყივლებლებით, ამგდებ-დამგდებლებითა თუ მასხარების მთელი გროვით“ გაბრუებული მთავარი გმირის – რაულ დიუკისა და მისი ადვოკატის ლას-ვეგასში, ამერიკული ოცნების საძიებლად გამგზავრების ამბავი.

~~14.95₾~~
7.50₾

216 გვერდი
მაგარი ყდა

თომას პინჩონი

ლოტ 49-ის გამოცხადება

მთარგმნელი: თამარ ლომიძე

ჯერომ სელინჯერის შემდეგ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში თომას პინჩონი ყველაზე ცნობილი განდეგილია. მწერლის შესახებ დანამდვილებით ცნობილია, რომ 1937 წელს დაიბადა, მსახურობდა სამხედრო ფლოტში, სწავლობდა კორნელის უნივერსიტეტში, მუშაობდა კომპანია „ბოინგში“, არის შვიდი რომანის ავტორი. „ლოტ 49-ის გამოცხადება“ – რომანი, რომელიც პოსტმოდერნისტული ლიტერატურის შედევრად ითვლება და კალიფორნიელი დიასახლისის თავს გადამხდარი უცნაური ამბავია – პინჩონის მეორე, 1966 წელს გამოცემული წიგნია.

398 გვერდი
მაგარი ყდა

სოლ ბელოუ

ჰენდერსონი, წვიმის მეფე

მთარგმნელი: ლელა დუმბაძე

სოლ ბელოუ (1915-2005) უილიამ ფოლკნერის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ამერიკელ რომანისტად ითვლება. „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“ – ნობელიანტი მწერლის მეხუთე რომანი – 1959 წელს გამოიცა. წიგნის მთავარი გმირი, ჯინ ჰენდერსონი კონექტიკუტელი მილიონერია, რომელიც ერთ დღესაც გადაწყვეტს, რომ ცხოვრებაში რაღაცების შეცვლის დრო დამდგარა და აფრიკაში მიემგზავრება.



562 გვერდი
მაგარი ყდა

ჯოის კეროლ ოუტსი
შავი წყალი
მთარგმნელი: მაია გოგოლაძე

რომანი „შავი წყალი“ 1992 წელს გამოქვეყნდა. მომდევნო წელს ამ წიგნისთვის ოუტსი პულიცერის პრემიაზე წარადგინეს. ამ მცირე რომანში დატრიალებული ამბავი ე.წ. „ჩაპაკვიდიკის ინციდენტს“ ეხმიანება – 1969 წელს მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას, როცა კუნძულ ჩაპაკვიდიკთან სენატორ ტედ კენედის მანქანა წყალში გადავარდა, სენატორის თანამგზავრი ახალგაზრდა ქალი კი დაიღუპა.

~~14.95 ₾~~
7.50 ₾

154 გვერდი
მაგარი ყდა

თრუმენ კეპოუტი
ხელის აუკანკალებლად
მთარგმნელი: გია ჭუმბურიძე

თრუმენ კეპოუტი ლიტერატურაში ე. წ. „ახალი ჟურნალისტიკის“ ჟანრის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. რომანი „ხელის აუკანკალებლად“ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. რომანს საფუძვლად რეალური ამბავი უდევს – 1959 წ. კანზასში ჩადენილი მკვლელობა, როდესაც მთელი ო ახი (მამა, დედა და ორი შვილი) ამოწყვიტეს – და ძალადობის, როგორც რთული სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენის, ამოხსნის მცდელობაა.

~~17.95 ₾~~
11₾

368 გვერდი
მაგარი ყდა

რიჩარდ იეიტსი

სააღდგომო ჩვენება

მთარგმნელი: გია ჭუმბურიძე

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ საუკეთესო პროზაიკოსად აღიარებული ამერიკელი მწერლის, რიჩარდ იეიტსის (1926-1992) რომანი „სააღდგომო ჩვენება“ მკითხველთა და კრიტიკოსთა სამართლიან გაოცებას იწვევს - თავისი უჩვეულოდ ძუნწი, ლაკონური და, ამავე დროს, საოცრად ტევადი თხრობის სტილის წყალობით ამ არცთუ სქელტანიან წიგნში მწერალი ერთი ოჯახის თითქმის სამი თაობის ბედ-იღბლის თანაზიარად გვაქცევს. ეს სევდიანი საგა მოგვითხრობს იმაზე, რომ ამ ცხოვრებაში არცერთი გზის არჩევა ბედნიერების უპირობო საწინდარი არ არის და არც შეიძლება იყოს...

286 გვერდი
მაგარი ყდა

ტიმ ო'ბრაიენი

რასაც თან დაათრევდნენ

მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე

ტიმ ო’ბრაიენის (1946) „ტ“ ერთი ოცეულის ჯარისკაცების თავგადასავალზე მოგვითხობს ვიეტნამის ომში. ავტორმა - თავად ვიეტნამის ომის ვეტერანმა - ამ მოთხრობების ერთ კრებულად გაერთიანებით ომის აბსურდულობის მკაფიოდ წარმოჩენა და მკითხველზე გამაოგნებელი შთაბეჭდილების მოხდენა შეძლო. მაინც რას „დაათრევდნენ“ თან ო’ბრაიენის ჯარისკაცები? მწერალი დაწვრილებით აღგვიწერს მეომრის ზურგჩანთის შიგთავსს და ახერხებს, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ის, რაც ნივთების ამ ჩამონათვალში არ შედის და რაც საერთოდ არ არის ნივთი, თუმცა კი სწორედ ის დასწოლია უმძიმეს ტვირთად თითოეულ მებრძოლს.

310 გვერდი
მაგარი ყდა

საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა

მარტა ალტესი
არრა!

მთარგმნელი: გია ჭუმბურიძე

რაღას არ იგონებს პატარა ძაღლი, ოღონდ კი ოჯახის წევრებს თავი მოაწონოს! ცხადია, იმათაც გულით უნდა უყვარდეთ, მაგრამ ჩვენს ცუგას ერთი რამ მაინც ვერაფრით გაუგია...

„არრა!“ მარტა ალტესის პირველი წიგნია, რომელიც გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა. პატარა, მოუსვენარი ძაღლის ამბავი სკოლამდელი და მცირე სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

~~9.95₾~~
6₾

32 გვერდი
რბილი ყდა

ვერნერ ჰოლცვართი
პატარა თხუნელას ამბავი

„პატარა თხუნელას ამბავი“ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული საბავშვო წიგნის ქართული თარგმანია. მოთხრობა, რომელიც კარგა ხანია სხვადასხვა ქვეყნის ბავშვების საყვარელ საკითხავად იქცა, „დიოგენეს“ თანამედროვე საბავშვო წიგნების სერიას ხსნის. წიგნი პატარებს ხიბლავს მასში მოთხრობილი უჩვეულო, ტრადიციული საბავშვო წიგნებისაგან განსხვავებული ამბით და მოუსვენარი მთავარი გმირით - სიმართლის გარკვევის სურვილით შეპყრობილი პატარა თხუნელათი, რომელიც თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟია. წიგნი სკოლამდელი და მცირე სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.



~~9.95 ₾~~
5₾

24 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი
მთარგმნელი: ლელა დუმბაძე

თუ ჯერ კიდევ არაფერი იცით მერი პოპინსის შესახებ, მაშინ გილოცავთ - თქვენ წინაშეა მსოფლიო საბავშვო კლასიკის განსაკუთრებული გმირი, რომელიც წამში გარდაქმნის მოსაწყენ რეალობას ჯადოსნურ დღესასწაულად.

~~15.90 ₾~~
9₾

246 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი ბრუნდება

მთარგმნელი: ლელა დუმბაძე

თქვენ ალბათ უკვე შეიყვარეთ მერი პოპინსი - მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ძიძა და ცოტათი გულიც დაგწყდათ, რომ ამ კლასიკური საბავშვო ნაწარმოების პირველი წიგნი მასთან განშორებით დამთავრდა. და აი, მერი პოპინსი დაბრუნდა, ბენქსების ოჯახს კიდევ ერთი ბავშვი შეემატა და საოცრებები გრძელდება!

~~15.90 ₾~~
9 ₾

354 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი კარს აღებს

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

სერიის მესამე წიგნი, რომელშიც ბენქსების ოჯახისა და მერი პოპინსის მორიგ თავგადასავლებს გაეცნობით.

სერია პირველად გამოიცემა ქართულად სრული სახით.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა "პალიტრა L-თან" თანამშრომლობით.



~~15.90 ₾~~
9 ₾

308 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი პარკში

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

მერი პოპინსისა და მისი აღსაზრდელების ჯადოსნური თავგადასავლები გრძელდება!
სერიის რიგით მე-4 ტომში თქვენ 6 სხვადასხვა ამბავს წაიკითხავთ, რომლებიც პატარა ბენქსებსა და მათ ძიძას ალუბლების ქუჩის მიმდებარე პარკში სეირნობისას გადახდათ თავს.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა "პალიტრა L-თან" თანამშრომლობით.

~~15.90 ₾~~
9 ₾

324 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი ალუბლების ქუჩაზე
მერი პოპინსი და სახლი მეზობლად

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

მე-5 ტომში ორი ნაწილია გაერთიანებული - „მერი პოპინსი ალუბლების ქუჩაზე“ და „მერი პოპინსი და სახლი მეზობლად“. ბენქსების ოჯახისა და მათი ძიძის გადასავლები კიდევ უფრო ჯადოსნური და იდუმალი ხდება.

სერია გამოიცემა „პალიტრა L”-თან თანამშრომლობით.

~~15.90 ₾~~
9 ₾

184 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი სამზარეულოში

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

რა ხდება მაშინ, როდესაც ბენქსების ოჯახი მოულოდნელად მზარეულის გარეშე რჩება და მშობლებიც 1 კვირით მიემგზავრებიან? რა თქმა უნდა, გაჭირვების ტალკვესად კვლავ მერი პოპინსი გვევლინება.

წიგნში ნახავთ არაჩვეულებრივი კერძებისა და ნამცხვრების რეცეპტებს, რომელთა მომზადებაც პატარებთან ერთად უფრო სახალისო იქნება. წიგნი გამოიცა გამომცემლობა "პალიტრა L-თან" თანამშრომლობით.

68 გვერდი
მაგარი ყდა

პ. ლ. ტრევერსი

მერი პოპინსი A-დან Z-მდე

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

„მერი პოპინსი A-დან Z-მდე“ ასრულებს სერიას და იგი წინა ნაწილების ერთგვარი შეჯამებაა. შეგვიძლია, მას სერიის გზამკვლევიც ვუწოდოთ. ავტორის სიტყვებით, „ყველაფერს, რაც ყოფილა, არის და იქნება, ანბანი იტევს“.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა "პალიტრა L-თან" თანამშრომლობით.



68 გვერდი
მაგარი ყდა

ჯინ ვებსტერი

გრძელფეხება მამილო

მთარგმნელი: ლია გუგუნავა

ცნობილი ამერიკელი მწერლის, ჯინ ვებსტერის წიგნი „გრძელფეხება მამილო“ მოგვითხრობს ობოლი გოგონას ამბავს, რომელიც უცნობმა ქველმოქმედმა კოლეჯში გაგზავნა. ამ კლასიკად ქცეულ ეპისტოლარულ რომანს დღემდე სიამოვნებით კითხულობენ სხვადსხვა ასაკის მკითხველები მთელ მსოფლიოში.
გამოცემა ორენოვანია – იგი ქართულ და ინგლისურ ტექსტებს აერთიანებს. წიგნს დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც დაეხმარება მკითხველებს ინგლისური ტექსტის უკეთ გაგებასა და ენის სრულყოფაში.

~~16.95₾~~
10₾

416 გვერდი
რბილი ყდა

სხვა წიგნები

პაატა ბერიკაშვილი
ყვითელი ცდომილის მსახური

„ყვითელი ცდომილის მსახური“ ფანტასმაგორიული რომანია, რომლის ტექსტში გარეგნული აკადემიზმი შერწყმულია შინაგან ავანგარდიზმთან. ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სინტაქსს, თითოეული სიტყვის სიზუსტეს. ნაწარმოების გმირები მძიმე დროების რუხ ტონებში შეფერილ ლანდებს ჰგვანან. ცვალებადი და უიმედოა მათი გუნება-განწყობაც. პერსონაჟების ეგოიზმი და გაბოროტება ეპოქის დამახასიათებელ სოციალურ ავადმყოფობას ჰგავს, თუმცა განკურნებისთვის თავს მაინცდამაინც არ იკლავენ. მათი სამყარო საზოგადოების ფსკერია, რომელიც ხანდახან ისე შეერევა ხოლმე სხვა სოციალური ფენების ყოფას, რომ ჭირს, გაარჩიო, საიდან მოხვდა ესა თუ ის გმირი ამ გროტესკულ რეალობაში. გროტესკული სახეები გროტესკულ რეალობაში მკაცრი ნეგატივია, მაგრამ ერთია მთავარი – მათ შეუძლიათ, იცინონ როგორც საკუთარ პერსონაზე, ისე დანარჩენ სამყაროზე. სიცილი კი გადარჩენის ერთგვარი შანსია.

884 გვერდი
რბილი ყდა

ირმა ტაველიძე
აღმოსავლეთის გამოგონება

ირმა ტაველიძე დაიბადა 1973 წლის 20 ოქტომბერს გორში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი პროზაული ტექსტები 1999 წელს დაიბეჭდა. 2007 წელს გამოიცა ირმა ტაველიძის მოთხრობების პირველი კრებული „ავტობიოგრაფია ფრანგულად“.
წლების განმავლობაში თარგმნიდა ინგლისურიდან და ფრანგულიდან სხვადასხვა ლიტერატურული ჟურნალისთვის. თარგმნა მიშელ უელბეკის წიგნები: „პლატფორმა“ და „სიცოცხლის გაგრძელება და სხვა ტექსტები“, ასევე - ქეთი ქანთარიასთან ერთად - ჯ. მ. კუტზეესა და პოლ ოსტერის „აქ და ახლა: წერილები (2008-2011)“. 2011 წლიდან არის შვედ და ქართველ დრამატურგთა ჯგუფის წევრი. „აღმოსავლეთის გამოგონება“ ირმა ტაველიძის მოთხრობების მეორე კრებულია.

~~9.95₾~~
5₾

138 გვერდი
რბილი ყდა

ზაალ სამადაშვილი
ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე

”ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე” ზაალ სამადაშვილის ბოლო წლების ჩანაწერებს აერთიანებს. ”მე ხომ იმ ადამიანებს, იმ სურათებს და იმ ხმებს ვიხსენებ, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს პიროვნების, სახელად ”ზაალ სამადაშვილის” ჩამოყალიბებაში. მე ხან ვიღაცასავით ვწერ, ხან ვიღაცასავით ვლაპარაკობ, ხან ვიღაცასავით ვიქცევი და მერე გონებას ვძაბავ, რომ დავადგინო - ვინ არის ის ვიღაც? ჯონ ლენონი, ტომას ვულფი თუ მამაჩემი... ”

~~5.95₾~~
3₾

200 გვერდი
რბილი ყდა

ქართული ლექსი - XX საუკუნე
შეადგინა ზვიად რატიანმა

ეს წიგნი XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთგვარი გზამკვლევია. სწორედ გზამკვლევი და არა შედევრების კრებული, რადგან მასში, მეტ-ნაკლები სისრულით, გასულ საუკუნეში ქართული ლექსის განვითარების გზაა წარმოჩენილი, ეს გზა კი ყოველთვის აღმავალი არ იყო. ქართული ლექსის თემატური თუ დროის გარკვეული მონაკვეთით შემოსაზღვრული ანთოლოგიები აქამდეც გამოცემულა, მაგრამ ეს კრებული ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ქართველი პოეტის მიერ წინა საუკუნის პოეზიის მთელი სიგრძე-სიგანით დანახვისა და გააზრების პირველი მცდელობაა.

~~16.95₾~~
8.50₾

544 გვერდი
რბილი ყდა

ვახუშტი კოტეტიშვილი
მოუკრეფავნი

წიგნში შესულია თედო სახოკიას მიერ შეგროვებული მასალა - ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები, ლექსები, შაირები, გამოცანები, ანდაზები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი.



~~9.95₾~~
4₾

110 გვერდი
რბილი ყდა

პენმარათონი 2018
კრებული

ეს კრებული 2018 წლის ივნისში საერთაშორისო, ქართულ-გერმანული ლიტერატურული კონკურსის „პენმარათონის“ ფარგლებში დაწერილი 10 საუკეთესო მოთხრობისგან შედგება.
პენმარათონი ორიგინალური ფორმატის ლიტერატურული კონკურსია, რომელიც საქართველოში უკვე შვიდჯერ ჩაატარა გამომცემლობა „დიოგენემ“ (პირველი - 2002 წელს). კონკურსი 2 ეტაპად იმართება: მონაწილეების შერჩევა და წერითი სესია - პენმარათონი. წერითი სესიის დროს, 24 საათის განმავლობაში, მონაწილეებმა ჟიურის მიერ განსაზღვრული ამოცანის შესაბამისად უნდა შექმნან მხატვრული პროზის ორიგინალური ნიმუში.



~~12.95₾~~
6.50₾

170 გვერდი
რბილი ყდა

ზოია ფირზადი
შევეგუებით
მთარგმნელები: მზია ბურჯანაძე, თეა შურღაია

თანამედროვე ირანელი მწერალი ქალის, ზოია ფირზადის წიგნში გაერთიანებულია რომანი "ტ" - რომანი, რომელიც გამოსვლისთანავე არნახულად პოპულარული გახდა და რვა წლის განმავლობაში ოცდაექვსჯერ დაიბეჭდა - და მოთხრობები.
მწერლის შემოქმედებაში ორი საკითხია წამყვანი: გენდერული (რომლის საინტერესო და ორიგინალურ გააზრებას გვთავაზობს რომანი "შევეგუებით") და სხვადასხვა კონფესიის თანაარსებობა ისლამურ რესპუბლიკაში (რომლის ღრმა და დელიკატურ ასახვასაც წარმოადგენს სამი მოთხრობა საერთო სათაურით "აღდგომამდე ერთი დღე რჩება").
ძნელად მოიძებნება წიგნი, რომელიც ასე ზუსტად და დეტალურად ხატავს თეირანსა და თეირანელების ყოფა-ცხოვრებას, ამ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჩვევებსა და მიღებულ ქცევებს.



~~16.95₾~~
8.50₾

522 გვერდი
რბილი ყდა

სტივენ კინგი

ბნელი კოშკი 2 (სამის გამორჩევა)

მთარგმნელი: ნინო შეყილაძე

510 გვერდი
რბილი ყდა

ამერიკელი მწერლის, სტივენ კინგის რომანების ციკლი "ბნელი კოშკი" ფენტეზის, სამეცნიერო ფანტასტიკის, ჰორორის, ვესტერნისა და, გარკვეულწილად, მელოდრამის წარმატებული ნაზავია, რის გამოც მან იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ამ ჟანრების მოყვარულთა შორის. ნაწარმოებში მოთხრობილია მსროლელ როლანდ დისქეინის თავგადასავალი, რომელიც მას ბნელი კოშკის ძიების გზაზე გადახდება, თავად ბნელი კოშკი კი როლანდს ყველა სამყაროს შემაკავშირებელ ღერძად ესახება, რომელმაც ისინი ნგრევისა და ქაოსისაგან უნდა იხსნას.
"სამის გამორჩევა" ციკლის მეორე წიგნია. პირველი წიგნის, "მსროლელის", ბოლოს შავსამოსიანი კაცი როლანდს ტაროს კარტით უმკითხავებს და მომავალს უწინასწარმეტყველებს. იგი როლანდს ყურადღებას სამ უჩვეულო კარტზე - "პატიმარზე", "ჩრდილების ქალბატონზე" და "სიკვდილზე" ამახვილებინებს. "სამის გამორჩევა" სწორედ ამ წინასწარმეტყველების ახდენაზე მოგვითხრობს - როლანდის მეორე ნაბიჯზე კოშკის ძიების რთულსა და ხიფათით სავსე გზაზე.

სტივენ კინგი

ბნელი კოშკი 3 (უნაყოფო მიწები 1)
ბნელი კოშკი 3 (უნაყოფო მიწები 2)

მთარგმნელი: ნიკა სამუშია

„ბნელი კოშკის“ მესამე ნაწილი, „უნაყოფო მიწები“, წინამორბედი წიგნების მსგავსად, ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ სტივენ კინგი, სათავგადასავლო მოტივების გარდა, საინტერესო ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ პლასტებს გვთავაზობს.
წიგნი იწყება მეორე ნაწილში, „სამის გამორჩევაში“ აღწერილი მოვლენებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ და მოგვითხრობს სამყაროს უკანასკნელი მსროლელის, როლანდის ახალი „კა-ტეტის“ (მისი ერთგული მეგობრების ჯგუფის) საბოლოო ჩამოყალიბებისა და მათი ხანგრძლივი ერთობლივი ლაშქრობის ამბებს „ადგილიდან დაძრულ სამყაროში“, რომელიც ძალიან „მოგვაგონებს“ პოსტაპოკალიპსურ სამყაროს, სადაც მაგია მძლავრობს...”სამის გამორჩევა” ციკლის მეორე წიგნია. პირველი წიგნის, ”მსროლელის”, ბოლოს შავსამოსიანი კაცი როლანდს ტაროს კარტით უმკითხავებს და მომავალს უწინასწარმეტყველებს. იგი როლანდს ყურადღებას სამ უჩვეულო კარტზე - ”პატიმარზე”, ”ჩრდილების ქალბატონზე” და ”სიკვდილზე” ამახვილებინებს. ”სამის გამორჩევა” სწორედ ამ წინასწარმეტყველების ახდენაზე მოგვითხრობს - როლანდის მეორე ნაბიჯზე კოშკის ძიების რთულსა და ხიფათით სავსე გზაზე.



330 გვერდი
რბილი ყდა



314 გვერდი
რბილი ყდა

აუტისტი ბავშვი
(სახელმძღვანელო მშობლებისთვის)
მარკ ბელასენი, ოლგა შავერნე
მთარგმნელები: მარინე ტარასაშვილი,ნინო ზარდიაშვილი ირინე თავბერიძე

ეს წიგნი სახელმძღვანელოა მშობლებისთვის და ეხება ამ და სხვა პრობლემებს, რომლებსაც მშობლები და პროფესიონალები ყოველდღიურად აწყდებიან ბავშვის მოვლის, მკურნალობისა და სწავლების დროს. წიგნს სამეცნიერო მიზნები არ აქვს, მშობლების დასახმარებლადაა დაწერილი და გარემოსადმი ტ ბავშვების განსხვავებულ დამოკიდებულებას უჩვენებს მკითხველს. წიგნი მდიდარი კლინიკური გამოცდილების საფუძველზეა დაწერილი და შეიცავს სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას აუტიზმის შესახებ. ავტორების პოზიცია ასეთია: აუტიზმი დაავადებაა, რომლის განკურნებაც შესაძლებელია.

~~17.95₾~~
7₾

310 გვერდი
რბილი ყდა

ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა
ელიზაბეტ კენდელი
მთარგმნელი: ხათუნა ბასილაშვილი

წიგნი XX საუკუნის ამერიკელი (წარმოშობით - ქართველი) ქორეოგრაფის, ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წლის აღსანიშნავად ითარგმნა. ეს არის პირველი ქართული გამოცემა ბალანჩინის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ. წიგნი ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რადგან მასში ვრცლადაა მოთხრობილი ჯორჯ ბალანჩინის ოჯახის ისტორია, მამის - მელიტონ ბალანჩივაძის, დედის - მარიას, დის - თამარისა და ძმის - ანდრიას შესახებ.
წიგნში ბალანჩინისა და მისი ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრისა და თანამოაზრის, ლიდია ივანოვას მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პერიპეტიები პარალელურადაა მოთხრობილი.
წიგნის ავტორია ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ბალეტის კრიტიკოსი ელიზაბეტ კენდელი. იგი იყენებს ბალანჩინის თანამედროვეთა მემუარებს და იმდროინდელ პუბლიკაციებს; ასევე, რუსეთის, ფინეთის, ამერიკისა და საქართველოს არქივებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალას.

~~24.95₾~~
15₾

310 გვერდი
მაგარი ყდა
სუპერით

ნივთების უმანკოება

ორჰან ფამუქი

მთარგმნელი: ეკატერინე ახვლედიანი

ამ წიგნით, რომელიც დიდი რუდუნებით შერჩეული ნახატებითა და ფოტოსურათებითაა ილუსტრირებული, "უმანკოების მუზეუმში" გამოფენილი ნივთების საშუალებით ორჰან ფამუქი სტამბოლისა და საკუთარი ცხოვრების შესახებ თხრობას განაგრძობს...
წიგნი, რომელიც ძველ სტამბოლელ ტაქსის მძღოლებზე, ხალხმრავალი ოჯახების ფოტოებზე, სახლიდან სახლში საკერავზე მოსიარულე თერძებზე, კაზინოებისა და კინემატოგრაფისტების წრეებზე, ბოსფორის სრუტეზე, სააგარაკო ცხოვრების კულტურაზე, ჩაის სმაზე, ყავახანებში ბანქოს თამაშსა და მსგავს განსხვავებულ სფეროებზე მოგვითხრობს, პარალელურად აღგვიწერს, თუ როგორ ქმნიდა ორჰან ფამუქი თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ საინტერესო მუზეუმს და მუზეუმის კატალოგადაც გვევლინება.
"უმანკოების მუზეუმის" მიხედვით შექმნილ ამ წიგნში ფამუქი ნივთების, ხედებისა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების უცნაური და ჩვეულებრივი დეტალების ახალ მნიშვნელობას აღმოაჩენს.



~~39.95₾~~
20₾

260 გვერდი
მაგარი ყდა
სუპერით

სასწავლო ლიტერატურა

ნინო ლაცაბიძე

LET'S START - ინგლისური ენის სახალისო სახელმძღვანელო ბავშვებისთვის



252 გვერდი
რბილი ყდა

ამ სახალისო სახელმძღვანელოს მეშვეობით შეძლებთ იმოგზაუროთ ინგლისური ენის ანბანის სამყაროში, სადაც, არამარტო ისწავლით ანბანს და ივარჯიშებთ წერის პრაქტიკაში, არამედ დაეუფლებით ახალ სიტყვებს. თუმცა ეს ყველაფერი არ არის, რადგან მასში მოცემული სახალისო და საინტერესო დავალებები ასევე ორიენტირებულია მოსწავლეთა ნატიფი მოტორიკის, ანალიზის, შეფასებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებაზე. და რაც მთავარია - სახელმძღვანელოში შეხვდებით ძალიან ბევრ ფერად, ლამაზ და საინტერესო პერსონაჟსა და ილუსტრაციას, რომელიც მოსწავლეების მოტივაციას აამაღლებს, გაზრდის მათ ჩართულობას და ხელს შეუწყობს ხალისით სწავლებას. ეს წიგნი არაჩვეულებრივი რესურსია როგორც მასწავლებლებისა და მშობლებისთვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს, სწავლის სიყვარული შთააგონოს პატარებს.

ვეფხისტყაოსანი ტექსტი და კომენტარები

შოთა რუსთაველი
თამაზ ვასაძე

346 გვერდი
რბილი ყდა

კომენტარებისა და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე.
ეს გამოცემა ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველებს, განსაკუთრებით, მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს. წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ თითოეულ სტროფს უშუალოდ მოსდევს დღევანდელი მკითხველისთვის ძნელად გასაგები ყველა სიტყვის, გამოთქმის, ფრაზის, ქვეტექსტის განმარტება, რომლებიც მეორდება ყველგან, სადაც ტექსტი ამას მოითხოვს. მრავალჯერადი გამეორება და ამომწურავი განმარტებები ეხმარება მკითხველს ამ სიტყვების, გამოთქმების, ფრაზების მნიშვნელობის დამახსოვრებაში, რაც, პირველ რიგში, აიოლებს ნაწარმოების კითხვას, ხოლო საბოლოო ჯამში _ მისი შინაარსის გაგებას და იდეურ-მხატვრული ღირებულების აღქმას.

ქართული აგიოგრაფიული პროზა

თამაზ ვასაძე

136 გვერდი
რბილი ყდა

წიგნში ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წარმოდგენილია ახლებური ფორმით - მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, არამედ შერწყმულია, ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან. ეს ახალგაზრდა მკითხველებს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელებს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმას და გაგებას.

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია

ნინო შარაშენიძე

~~12₾~~
9₾

160 გვერდი
რბილი ყდა

ქართული ენის გრამატიკის სასკოლო კურსი დამხმარე სახელმძღვანელოა იმ მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ, კარგად იცოდნენ მშობლიური ენის გრამატიკა.
ბოლო წლებში საქართველოს სკოლებში ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის ინტეგრირებულმა სწავლებამ განაპირობა ის, რომ მოსწავლეებმა საფუძლიანად არ იციან გრამატიკა, რაც სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის მშობლიურ ენაზე წერითი და ზეპირი მეტყველების სრულყოფას, ასევე ართულებს უცხო ენის შესწავლას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც ორი წიგნისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან შედგება.
სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სურს, იცოდეს ქართული ენის გრამატიკა, წეროს და იმეტყველოს სწორი ქართულით.

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი

ნინო შარაშენიძე

~~12₾~~
9₾

190 გვერდი
რბილი ყდა

წიგნში ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წარმოდგენილია ახლებური ფორმით - მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, არამედ შერწყმულია, ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან. ეს ახალგაზრდა მკითხველებს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელებს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმას და გაგებას.

როგორ ვწეროთ უკეთესად VII კლასელთათვის

ნინო შარაშენიძე

120 გვერდი
რბილი ყდა

სავარჯიშოების კრებული VII კლასელთათვის. წიგნში წარმოდგენილი მასალა:

ორთოგრაფია;
პუნქტუაცია;
ლექსიკა;
ფრაზეოლოგია;
სტილი;
წერითი დავალებები;
ტესტები თვითშემოწმებისათვის.

როგორ ვწეროთ უკეთესად - უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

ნინო შარაშენიძე

52 გვერდი
რბილი ყდა

კონსულტანტი: მზექალა შანიძე.

„როგორ ვწეროთ უკეთესად“ პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულია. მისი მიზანია, XI კლასის სტანდარტით გათვალისწინებული ენობრივი საკითხების აქცენტირებით დაეხმაროს მოსწავლეს წერითი მეტყველების სრულყოფაში. მრავალფეროვანი სავარჯიშოები პუნქტუაციის, ფრაზეოლოგიზმების, სინონიმიის და სხვადასხვანაირი ენობრივი კონსტრუქციების უკეთ დაუფლებას შეუწყობს ხელს. კრებული შეიცავს წერით მეტყველებაში ოფიციალური და საქმიანი სტილის გამოყენების ნიმუშებს და თვითშემოწმების ტექსტებსაც.

ისტორიის მოკლე კურსი აბიტურიენტებისთვის

ბესიკ ლორთქიფანიძე ნატო ახმეტელი

წიგნის ავტორები კარგად არიან ცნობილი, როგორც გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით, ისე დამხმარე ლიტერატურით, რომლებიც უკვე მრავალი წელია, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ისტორიით დაინტერესებულ მოსწავლე-აბიტურიენტთა, არამედ მასწავლებელთა შორისაც.
წიგნი სრულად მოიცავს ეროვნული გამოცდის პროგრამულ საკითხებს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიიდან. ფაქტობრივად იგი აერთიანებს XI-XII კლასების ისტორიის ყველა სახელმძღვანელოს. თემები მოწოდებულია მოსწავლისათვის გასაგები მარტივი ენით, საინტერესოდ, მოკლედ და ამომწურავად, საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილებით.
ეს წიგნი ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს აბიტურიენტებს ისტორიის ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში.



166 გვერდი
რბილი ყდა

მანანა წერეთელი

ტესტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტებისათვის - 2023

წიგნი შედგენილია 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნათა შესაბამისად და განკუთვნილია როგორც აბიტურიენტებისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც. მასში ასახულია ის ცვლილებები, რომლებსაც მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამა ითვალისწინებს.
წიგნში შესულია ტექსტის რედაქტირების, საპროგრამო და არასაპროგრამო ტექსტების წაკითხულის გააზრების, წერითი დავალებებისა და შესრულებული თხზულების ნიმუშები, მოცემულია შეფასების სქემა.
გასააანალიზებელი ნაწარმოებები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც თანამედროვეობის უმთავრეს პრობლემებად მიიჩნევა და მოითხოვს გულდასმით დამუშავებასა და სათანადო ყურადღებას.
ჩვენი მიზანია, დავალების პირობით განსაზღვრული კონკრეტული პრობლემის მიხედვით აბიტურიენტებმა და მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის ანალიზი და ამ პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობა.
წიგნის ფინანსური მხარდამჭერია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

144 გვერდი
რბილი ყდა

ალექსანდრე წერეთელი

მათემატიკის ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის

წიგნი მოიცავს ალგებრის, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის ყველა ძირითად საკითხს. იგი აბიტურიენტებს დაეხმარება ცოდნის მობილიზებასა და სრულყოფაში, სკოლის მოსწავლეებს - აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენაში, მასწავლებლებს კი საშუალებას მისცემს, მოკლე დროში გაამეორებინონ მოსწავლეებს განვლილი მასალა. ცნობარი მნშვნელოვანია იმითაც, რომ იგი დაგეხმარებათ ზოგადი უნარების გამოცდისთვის მომზადებაშიც. წიგნი იმდენად მცირე ფორმატისაა, რომ შეგიძლიათ, მუდმივად თან იქონიოთ იგი და ნაყოფიერად გამოიყენოთ ყოველი თავისუფალი წუთი.



~~9₾~~
6.50₾

182 გვერდი
რბილი ყდა

მაიკლ ბელჩი, ჯორჯ ბელჩი
რეკლამა და პრომოცია

მთარგმნელი: ხათუნა ბასილაშვილი, მზია კეკელიძე, თამარ წილოსანი, ხათუნა მაისაშვილი, მაია გოგოლაძე

ეს ცნობილი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც მრავალ ენაზეა ნათარგმნი და მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ სასწავლო პროცესში, ქართულად პირველად გამოიცა. ავტორები დარგის ცნობილი სპეციალისტები არიან, მოღვაწეობენ სან-დიეგოს უნივერსიტეტში და სხვადასხვა კომპანიას კონსულტაციებსაც უწევენ, რაც წიგნის აგებულებასა და შინაარსზეც აისახა.

წიგნში განხილულია ძირითადი მარკეტინგული საშუალებების - რეკლამის, პირდაპირი მარკეტინგის, ინტერაქტიული მედიის, გაყიდვის პრომოციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, პერსონალური გაყიდვის - წარმართვის უახლესი მეთოდები. ყოველი თავი შეიცავს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვის, IMC ტექნოლოგიების, გლობალური და ეთიკური ხედვის ჩანართებს. ამ ნაწილებში აღწერილია როგორც ბიზნესის, ისე რეკლამისა და პრომოციის სფეროში მოქმედი მსხვილი, საშუალო და მცირე კომპანიების მუშაობა; შესაძლებელი ხდება თეორიული დებულებების პრაქტიკაში გამოყენების (თუ არგამოყენების) შედეგების აღქმა და გაანალიზება.



~~69.95₾~~
21₾

856 გვერდი
რბილი ყდა